645
1985/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509
5
1985



„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# „იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ..."



საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ზ. გოგოლაშვილი — „გამარჯვება"

17.970

იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ,
უნდა აღვმართოთ წყებათა წყება,
ვით ალიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება!

გალაკტიონი

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!

გიორგი ლეონიძე

ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე ბუხაიძე
აქა ვულეტდი სისხლის მსმელებს;
არ ვუშვებდი დარიალთან
გაფთრებულ ყვითელ გველებს...
მე საფლავში არა ვწევარ, —
აქ დარაჯად დამაყენეს!

ირაკლი აბაშიძე

კაცობრიული ოცნებიდან ქცეულო
საქმედ
სწევ გამარჯვების სადღეგრძელოს
უკვდავ თასებით,
შენ გაზაფხულის მაისებში
სიმღერას გარქმევ,
ამიტომ უფრო, უფრო, უფრო
მეძვირფასები!

ნაზი კილასონია

მაშ, დღეგრძელობა და გამარჯვება,
ვინც აგვაცდინა დარბევის ხვედრი
და დაილოცოს მათი მარჯვენა,
ვინც ჩვენ დაგვიცვა საკუთარ
მკერდით!

მარიჯანი

შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსვრა, აბა, როგორ
ინდომეს?
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ვუგალობოთ სამშობლოის
მინდორ-ველს...

ანა კალანდაძე

დე, ფუტკარივით იყოს პოეტიც,
შუბად ლესავდეს მებრძოლ
სტრიქონებს,
თავის ქვეყნისთვის თაფლს
აგროვებდეს,
იყოს მგოსანიც და მეციხოვნეც!

მედეა კახიძე

შენი სახელი — უკვდავების იქცა
სიმბოლოდ,
შენი გმირობა დიადია, გასაკვირია!..
შენ ოციოდე გაზაფხული იკმარე
მხოლოდ,
დანარჩენები სამშობლოსთვის
შეგიწირია...

მარიკა ბარათაშვილი

მაშინ მივხვდი, მეძახოდა მე
უკვდავება...
ვცან, თუ ვინ ვარ და ეს გვიმრა
რას მედავება.
მე ავდგები, მე ტანი მაქვს
გაზაფხულისა,
წინ ფუტკარი წამიძღვება ხმად
ჩონგურისა
და იელვებს ჩემს მღიმარე თვალთა
კამკამში
საქართველოს მოწმენდილი ზეცის
კაშკაში.

დავით გაჩეჩილაძე



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. ...

*არავინ და არაფერია დავიწყებული*

# უკვდავება

„დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს, ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა, მათ ხსოვნას სამუდამო სანთლებად აინთებს...“

**გალაკტიონი**

დედაქალაქის ოქტომბრის რაიონის ტერიტორიაზე, საძმო სასაფლაო-პანთეონში, დიდი სამამულო ომის მონაწილე 1 638 მეომარია დაკრძალული; ისინი საბჭოთის ყველა რესპუბლიკის ხალხთა შვილები არიან. ახალი საზოგადოების ადამიანთა ურღვევ საბრძოლო მეგობრობას, მათ შეურყეველ ნებისყოფას და თავდადებას განასახიერებს ეროვნული ჩუქურთმებით შემკული 15 გრანიტის სტელა და მარად ჩაუქრობელი მანათობელი ცეცხლი. საბჭოთა იარაღის დაუძლეველობას მშვენივრად ასახავს მაღალ კვარცხლბეკზე მდგომი საბრძოლო რელიკვია, სოციალისტური ინდუსტრიის პირმშო — ტანკი „ტ-34“, ქვემო ფერდობზე კი აღმართულია გმირი ტანკისტის შოთა გოგორიშვილის ლეგენდარული საბრძოლო მანქანა, რომელიც თითქოს აგვირგვინებს გამარჯვებული ხალხის დიდების მემორიალურ კომპოზიციას.

ეს გმირთა მარადისობისა და ახალი სამყაროს დაუძლეველობის მოქმედი მონუმენტია.

საძმო პანთეონს შეფობას უწევენ ქალაქის სკოლები, ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მეომრები.

წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები, მადლიერი ახალგაზრდები მუდამ თაიგულებით ამკობენ გმირთა სავანეს, მეომრებთან ერთად ფიცს დებენ გმირთა ხსოვნის წინაშე, რომ მათს ამაგსა და თავდადებას არ დაივიწყებენ, თვითონაც იქნებიან სოციალისტური სამშობლოს მტკიცე დამცველები, მშვიდობისათვის მებრძოლები.

აქ ხშირად ნახავთ დედაქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელობას, ესოდენ რომ ზრუნავენ ძეგლის კეთილმოწყობისათვის, გმირთა ხსოვნისათვის და თაობათა სპეტაკი ზნეობით, პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის: პარტიისა და კომკავშირული მოძრაობის სახელოვან ვეტერანს ნინო ქვანიას, ბრძოლისა და შრომის ცნობილ ვეტერანს არტემ აზიროვს, პარტიის ოქტომბრის რაიკომთან არსებული სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს ვიოლეტა იანოვსკაიას.

პანთეონში მუდამ ხალხმრავლობაა, მაგრამ განსაკუთრებით ბევრია სტუმარი ტრადიციული ზეიმების, ახალ წეს-ჩვეულებათა დღესასწაულებსა და ხსოვნის დღეებში. აქ ჩამოდიან საბჭოთის უზარმაზარი ქვეყნის ყველა მხრიდან, ეწყობა ამაღელვებელი შეხვედრები.

ყველამ იცის რით დამთავრდა ფაშისტთა ავაზაკური განზრახვა — ამიერკავკასიისა და მთელი სოციალისტური სახელმწიფოს ხალხთა დაპყრობისა და დამონებისა. ვერაგი მხეცი განვდევნეთ და შემდეგ გავანადგურეთ თავის საკუთარ ბუნაგში.

მაშინ კავკასიის ბრძოლების დევგმირებს წითელი არმიის პატრიოტ-ინტერნაციონალისტებს ულრმესი დედაშვილური მადლობის გრძნობით უმღეროდა პოეტი ქალი მარიჯანი:

„ბედნიერი ვარ, რადგან ვერ ვნახე
ჩემი მშობელი მიწის აკლება...“

ეს ამაღლებული სტრიქონებიც უკვდავი ძეგლია და თაობიდან თაობებს გადაეცემა.

განა ლეგენდარული ბრესტის მონუმენტური კომპლექსი, სტალინგრადის ეპოპეის მარმარილოს და რკინა-ბეტონის გიგანტური კომპოზიცია, საბჭოთა ჯარისკაცის — განმათავისუფლებლის საუკუნის ძეგლი (ბერლინის ტრეპოვპარკში) სკულპტურული ჯგუფი „კიდევაც დაიზრდებიან“ და დიადი გამარჯვების სხვა მემორიალური შედევრები (ჩვენს რესპუბლიკაში) ახალი საზოგადოების დაუძლეველობასთან ერთად, მშვენივრად არ ასახავს თაობათა უკვდავ, ისტორიულ მემკვიდრეობითობას?!

ბრესტის კომპლექსური მემორიალის მარმარილოს სტელებზე ოქროს ასოებით არის ამოკვეთილი საბჭოეთის ყველა ერის შვილთა უკვდავი სახელები. განა შეიძლება ადამიანს არ დაეუფლოს კანონიერი სიამაყის გრძნობა, რომ მათ შორის ოთხი ქართველი რაინდია? — „რიგითი ივანე იასონის ძე ზედგენიძე“, „უფროსი სერჟანტი აკაკი ამბროსის ძე შევარდნაძე“, „პოლიტხელმძღვანელის მოადგილე ონისიმე ივანეს ძე ასათიანი“, „რიგითი ირაკლი ალექსანდრეს ძე ბოსტაშვილი“. აქ ხომ ახალი საზოგადოების გმირ დამცველთა წმიდათაწმიდა სისხ-



მეორე ექსპერიმენტული საშუალო სკოლის პედაგოგი დალი ხარატიშვილი და მოსწავლეები ძმათა სასაფლაოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა




პოლონეთი. მადლიერმა ხალხმა ძეგლი აუგო მის განმათავისუფლებლებს — საბჭოთა მებრძოლებს.

ლით უკვე იწერებოდა ფაშისტური იმპერიის სრული კაპიტულაციის აქტის პირველი სტრიქონები.

ბრესტის ციხე-სიმაგრე და მისი უკვდავი მემორიალი ახლაც კარგად ემსახურება კომუნიზმის მშენებელ ხალხს, მტკიცედ დგას მშვიდობის სადარაჯოზე. აქ საბჭოთა ინტერნაციონალური არმიის მეომრები ფიცს დებენ გმირთა ხსოვნის წინაშე. მილიონობით მადლიერ ადამიანთა დინება არ წყდება. მათ შორის თანამემამულეებიც არიან.

ეს ნათელი მაგალითი ახალი წყობილების ადამიანთა უძლეველობისა, ძველი ელადის მითოლოგიური გმირების სასწაულებს რომ გადააჭარბა, კარგად უნდა იცოდნენ მსოფლიოში ბატონობის ახალმა პრეტენდენტებმა, სოციალიზმისა და მშვიდობის მტრებმა.

სტალინგრადის მსოფლიო ისტორიული ბრძოლის დროს წითელი არმიის ერთ-ერთი ნაწილის მეთაურის მიხეილ დიასამიძის გმირობაზე და მხედრულ ნიჭზე, რომელმაც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ცნობილი დეპეშა მიიღო, ნიკოლოზ ტიხონოვი გულშიჩამწვდომი სიტყვებით აღნიშნავდა: „ისე, როგორც ძველი ქართული ეპოსის გმირები ქაჯებთან, რაინდულად იბრძვის გერმანელ-ფაშისტთა დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის შვილი დიასამიძე. ძველი საქართველოს ეპოსის გმირები ნიჭიერი და დახელოვნებული მხედრები იყვნენ, მაგრამ დიასამიძე მათ არაფრით ჩამოუვარდება“ (გაზეთი „იზვესტია“, 1. 01. 43 წ.).

ამჟამად სტალინგრადისა და დიდი სამამულო ომის სხვა ფრონტების ცოცხალ მემატიანეს მიხეილ დიასამიძეს ხშირად ნახავთ თავისი მშობლიური ვანის რაიონის მშრომელებთან და მოსწავლეებთან. ის სხვა ვეტერანებთან ერთად მშვენივრად ემსახურება იმ ახალგაზრდობის პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას, რომელთა ბედნიერებისათვის თავდადებულად იბრძოდა.

სტალინგრადის სალეგენდო გმირი მიხეილ დიასამიძეც, ჩაუქრობელი ჩირაღდანი, უკვდავი ძეგლი და მემატიანეა იმ დაუვიწყარი დროისა.

კიდევ უფრო ნათელი გახდა ძველთან შედარებით ახალი საზოგადოების უდიდესი უპირატესობა და ღრმა ჰუმანურობა ბერლინის დამამთავრებელ ბრძოლებში.

გმირ საბჭოთა არმიას კი ბერლინის გიგანტური ოპერაციის დროს 10 დღეზე ნაკლები დასჭირდა, რათა სოციალიზმისა და პროგრესული კაცობრიობის საშინელი მტერი საკუთარ ბუნაგში გაენადგურებინა და მელიტონ ქანთარიას, მიხეილ ეგოროვთან ერთად, ფაშისტურ რაიხსტაგზე სოციალიზმის გამარჯვების ესტაფეტა — წითელი დროშა აღემართა.

ეს კი ისეთი მუდამ მანათობელი ესტაფეტაა, რომელიც საქართველოს 700 ათასი საუკეთესო შვილს, და მათ შორის ბრძოლის ველზე გმირულად დაცემულ 300 ათას მებრძოლს, საბჭოეთის ყველა ხალხთან ერთად, ღირსეულად მიჰქონდათ მოსკოვის ალისფერვარსკვლავებიანი კრემლიდან, ლენინგრადიდან, სტალინგრადიდან, კავკასიონის უმაღლესი მწვერვალებიდან, რათა საყვარელი სოციალისტური სამშობლო, თავიანთი ოჯახები, მსოფლიოს მთელი ცივილიზაცია გადაერჩინათ საშინელი ყავისფერი ჭირისაგან. ამჟამად აქ ხომ პროლეტარიატის დიადი საქმის დაუძლეველობისა და მისი ულრმესი ჰუმანურობის — საბჭოთა ჯარისკაცის — განმათავისუფლებელის მონუმენტი დგას სამარადისოდ.

და აი 40 წელი შესრულდა იმ დიადი გამარჯვებისა. გამარჯვებული ხალხისა და მისი პარტიის ნებით იბადება ახალი საწესჩვეულებო დღესასწაულები, ხსოვნის დღეები, ზეიმები, რომლებსაც, თავისთავად ცხადია, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის ღრმა ზნეობრივი, მაღალჰუმანური და მემკვიდრეობითი მნიშვნელობა აქვს.

ამ ზეიმზე თავს იყრიან ომისა და შრომის ვეტერანები, ხუთწლედის კონკრეტულ დავალებათა შემსრულებლები, მებრძოლები და პიონერები, მთელი ახალგაზრდობა. ისინი, ახალი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების მემორიალების გახსნასთან ერთად, ქედს იხრიან თავისუფლებისათვის დაცემულთა წინაშე, პატივს სცემენ რევოლუციისა და ომის ცოცხალ მემატიანეებს, შრომაში გამარჯვებულებს. თუმცა ის გმირებიც, რომლებმაც თავი შესწირეს მშვიდობას, თავისუფლებას, სამშობლოს ბედნიერებას, შინმოუსვლელნი არ არიან. გმირები მუდამ ჩვენთან არიან. ჩვენს გულში და სულში ცოცხლობენ, მათი დიადი სახელები მუდამ ნათელი და უკვდავი უნდა იყოს და არის კიდეც!

რა მშვენივრად და შთამბეჭდავად თქვა ამის თაობაზე ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ:

„არც ერთი სახელი არ უნდა დაიკარგოს! თუნდაც პატარა სვეტში, თუნდაც პატარა დაფაზე უნდა ამოიკვეთოს და თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს ნიშნად იმისა, რომ ყოველი გმირი — ეს სამარადისო ხსოვნაა, ეს უკვდავებაა მარადისობაში; ყოველი გმირი ეს უმაღლესი ზნეობრიობის გამოხატულებაა ახალი თაობებისათვის“.

გალაქტიონ პაიჭაძე,
ომისა და საბჭოთა არმიის ვეტერანი, გვარდიის პოდპოლკოვნიკი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.



მარადიული ცეცხლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათი საქმენი საგმირონი



ომგადახდილები ჟურნალისტთა სახლში

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მეორმოცე წლისთავი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ ომის მონაწილე ქალთა შეკრებით აღნიშნა. საქართველოს ჟურნალისტთა სახლში თავი მოიყარეს ორმოცი წლის წინათ ფრონტებიდან დაბრუნებულმა ომგადახდილმა და ვალმოხდილმა ქალებმა, რომელთა თავგანწირვამ და უშიშარმა შემართებამ მსოფლიო განაცვიფრა.

ომში ყოველ წუთს შეიძლებოდა სიკვდილი, მაგრამ ისინი ომის ცეცხლს გადაურჩნენ. ჭრილობები კი თითქმის არცერთს ასცდენია. ინკურნებოდნენ და კვლავ მწყობრში დგებოდნენ. დღესაც არ დაამებიათ ის ტკივილი, მეგობართა დაღუპვამ რომ აღძრა მათს გულებში.

იმდღევანდელ სადღესასწაულო შეკრებაზე ომში დაკარგულთა მოგონებაც იყო. 16 ათასი ქალი წავიდა სამამულო ომში საქართველოდან და, ვაი რომ, ბევრი ვერ დაბრუნდა, ბევრს ვერ გაუთენდა ომის დამთავრების დღე!

... ომისდროინდელი სიმღერები იღვრებოდა დარბაზში, გაზაფხულის ლამაზი ყვავილებით ულოცავდნენ ერთმანეთს კარს მომდგარ გამარჯვების დღეს, ერთხელ კიდევ იგონებდნენ საბრძოლო ეპიზოდებს...

საშა აბრამიძე სამშობლოს დაძახებისთანავე წავიდა ფრონტზე. 20 წლის დედამ საქართველოში ორი წლის გოგონა დატოვა. ომმა მის მეუღლეს მოსკოვში მოუსწრო და ისიც ფრონტზე გაეშურა. მეკავშირე საშა აბრამიძემ ქერჩისათვის ბრძოლებში უმძიმესი დღეები გადაიტანა. ერთხელ, გადაუღებელ ცეცხლის წვიმაში, მან ახლო თანამებრძოლები დაკარგა. არა, შიში კი არ უგრძვნია, დიდმა მწუხარებამ შეძრა და თმა მთლად გაუთეთრდა.

— საშა, შენს თავზე მოუთოვია, — შებედა მეგობარმა.

საშა, გაიქცა, წყლიან ქვაბში ჩაიხედა და...

სადღა იყო მისი ლამაზი, წაბლისფერი თმა!

ვინ იცის, რამდენჯერ გადაიქუხა მარიამ იაკობაშვილის საზენიტო ტყვიამფრქვევმა უკრაინის ფრონტზე! მარიამს გასროლამდე ტყვიამფრქვევის ზუსტ წერტილში დაყენება ევალებოდა. მართლაცდა, მისი ტყვიამფრქვევის ცეცხლი ყოველთვის ხვდებოდა მიზანს.

ომის დამთავრებამ ევგენია ხინთიბიძეს უნგრეთში მოუსწრო. აპრილის ბოლო დღეები ძალიან დაძაბული იყო ჰოსპიტლის პერსონალისათვის. ორმაგად მძიმე იყო ამ დროს საოპერაციო მაგიდაზე სიკვდილი ან კიდურის მოკვეთა, „ხომ შეიძლებოდა მშვიდობის დღეს მოსვლა დაესწრო და სამუდამოდ არ დაეხუჭა თვალი დაჭრილს, ან ფეხი არ მოკვეთოდა საცოლე ბიჭს! არადა რამდენი საქორწინო ვაჟი დაიღუპა მაისის პირველ დღეებში“!

მას შემდეგ 40 წელი გავიდა და ეს კითხვა ქალბატონ ევგენიას დღესაც აფორიაქებს!

გუგული მანტკავა ორჯერ გამოიქცა საკონცენტრაციო ბანაკიდან. ბანაკში სიკვდილს მან არჩია ტყვია დასწეოდა გაქცეულს. მეორე გაქცევა იღბლიანი გამოდგა: ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეიფარეს, მოუარეს, გამოაკეთეს და პარტიზანებთან მიიყვანეს. შემდეგ გუგული საბჭოთა არმიას შეუერთდა და ბერლინში ჩავიდა.

პარაშუტისტ ნინო გელაშვილის ფოტო 1935 წელს დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის — „მშრომელი ქალის“ გარეკანზე. მაშინ ის ქალიშვილობის გვარს ატარებდა — პუშჩინად იცნობდნენ. პარაშუტით გატაცება ნინოს ომის დროს გამოადგა, როცა მტრის ზურგში გაგზავნეს მეკავშირედ. მტრის აღებულ ქალაქ ნალჩიკში ნინო იქაურად ასაღებდა თავს და სიცოცხლის დიდ რისკად ფარულად იბრძოდა.

ქალბატონი ნინო ომის ვეტერანთა საბჭოს წევრია, სამხედრო მუზეუმში ფონდების განყოფილებას განაგებს. მისი ნაქარგი პანოები მოსკოვისა და თბილისის მუზეუმებს ამშვენებს. ესენია: „ლენინი — პარტიის მესამე ყრილობის დელეგატი“, „ლენინი სმოლნში“, „სევასტოპოლის დაცვა“ და მრავალი სხვა.

თამარ მელაშვილი ურალზე პილოტად მუშაობდა, გადაჰყავდა მგზავრები ქალაქიდან ქალაქში და უხაროდა მშვიდობიანი ცის ხილვა. ომი რომ დაიწყო, ბომბდამშენზე გადაჯდა. ბომბავდა მტრის ხიდებს, საწყობებს, ეშელონებს, რკინიგზას, ცოცხალ ძალას და თვითონ ყოველთვის უვნებელი რჩებოდა, გამარჯვებული ბრუნდებოდა საკუთარ აეროდრომზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საშა აბრამიძე

ანა დავრანოვა თბილისელია, ომამდე პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. ომში მოხალისედ წავიდა. პირველი საბრძოლო ნათლობა ნალჩიკში მიიღო. მეკავშირე იყო, ომი სოფიაში დაამთავრა, დემობილიზაციამდე ისევ იქ დარჩა და საიდუმლო განყოფილებაში განაგრძო საქმიანობა. ქალბატონ ანას 56 წლის პარტიული სტაჟი აქვს, მაგრამ თავი მხნედ და ახალგაზრდულად უჭირავს. ხშირად მოგზაურობს იმ მხარეებში, სადაც ომის დროს უვლია.

მტრის თვითმფრინავის მოახლოებას შორიდანვე იგებდა საზენიტო არტილერისტი საშა ხაჩიძე. პირველად ჩრდილო კავკასიაში იბრძოდა. ყირიმის განთავისუფლებაშიც ისახელა თავი. გრძელი გზა გაიარა დასავლეთისაკენ და ომის დამთავრება რუმინეთში შეიტყო. მამაცი არტილერისტი პოლკის დროშასთან არის გადაღებული. ეს დიდი პატივი იყო, პოლკის დროშასთან მხოლოდ ღირსეულ მებრძოლებს იღებდნენ.



თამარ მელაშვილი

ამალია ასატუროვას ომის დაწყების წინა დღეს სკოლის გამოსაშვებ საღამოზე თეთრი კაბა ეცვა. ომი რომ გამოცხადდა, სამხედრო ფორმა ჩაიცვა და 17 წლისა მოხალისედ წავიდა ფრონტზე. მამაცი მეკავშირე მთელ პოლკს უყვარდა.

ნინელი ბაგიროვა ფრონტის შტაბში იყო რადისტად. იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში, ყირიმში, უკრაინის მეორე ფრონტზე, ბესარაბიაში, მოლდავეთში, რუმინეთში, უნგრეთში, მოქმედებდა მტრის ზურგში, მუშაობდა მნიშვნელოვან დეპეშებზე. 9 მაისმა ავსტრიაში მოუსწრო. არ გასულა დიდი დრო და ომის მეორე კერისკენ — იაპონიისკენ გაემგზავრა.

ნინელის გამოადგა საბრძოლო პროფესია, — ის კავშირგაბმულობის საპატიო მუშაკია.

და გრძელდებოდა მოგონებები, გამოსვლები მისალმებები...

ომის მონაწილეებს მიესალმნენ ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ეთერ ჯაფარიძე, რედაქციის განყოფილების გამგე ნანული ცაგარეიშვილი...

ზეიმში მონაწილეობდნენ პოეტები, მსახიობები, რედაქციის აქტივი.

და ყველას ფიქრი, ყველას ოცნება ერთი იყო

**მშვიდობა ჩვენს პლანეტას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ბავშვებს!**

საზეიმო შეკრებას უძღვებოდა რედაქციის განყოფილების გამგე ლია კაკაბაძე



კლავდია სტეპჩენკო



გალინა ჯაში



ანა დავრანოვა



ნინო გელაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

# ჯარისკაცის დაბრუნება

რომანის ერთი თავი

მხატვარი ნანა მესხიძე

წითელარმიელებმა საშოქალაქოდ გამოწყობილ მგზავრთა შორის, რომლებიც ლიკანში დაუსხდნენ მანქანას, ხერთვისს გაცილებულში შეამჩნიეს ეჭვის აღმძვრელი მოქალაქე. საეჭვო მოქალაქეს ფეხთ კოხტა ნალები და წინდები ეცვა. ტანთ ქუთათური შალის ხალათ-შარვალი და ჯუბა ემოსა. თავს წითელარმიელის ქუდი ეხურა, ყურისა და კისრის საფარველებჩამოშვებული. ზედმეტად ამობურცული, წინ გამოწეული მკერდი ჰქონდა. სხეულის აღნაგობით მოჭიდავეს წააგავდა. მხოლოდ სახე ბადებდა ეჭვს. წარბების ნამგალი ყვრიმალებამდე უწევდა, ლელნარივით ადგა ხშირი წარბები და ლოყებსა და ნიკაპს, საულვაშეს ნასამართებლარი არ აჩნდა. მგზავრი არავის ელაპარაკებოდა. თავისთვის, წყნარად ფიქრებში გართულს, მტკვრის ხეობის ერთი მხრით ჰქონდა პირი მიქცეული, მდინარესა და კლდეებს მისჩერებოდა. ჩანდა, მარტო ეს სანახაობა ართობდა. „ქალი ხომ არ არისო", — გადაულაპარაკეს ერთმანეთს წითელარმიელებმა.

მგზავრი გულისთქმას მიჰყვებოდა, ტანის აზრს მისდევდა.

საღამოს ერთ სოფელს მიაღწია. საყდარს გაუარა გვერდით, სოფლის ბოლოსაკენ გაეშურა. ვერავის შეჰბედა ღამე გამათევინეთო.

სოფლის გარეთ პურისა და ქერის ნამჯისა და თივის ძირები ჩანდა გრძელ ყაზარმებივით. უცნობმა მყუდრო ადგილი ამოირჩია, ნამჯა გათხარა, რბილად ჩაწვა და ზემოდანაც იგივე გადაიხურა. მალე გარშემო ყველაფერი მიწყნარდა. სოფელში დაიძინეს, მიწყდა ფეხის ხმა, საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა.

მთვარიანი ღამე დღესავით ნათელი იყო. უცნობმა ბოღჩიდან ყველი, პური, ხორცის ნაჭრები ამოალაგა. დანაყრდა. მერე თვალი გაუშტერა სავსე მთვარეს, ჯავახეთს რომ დაჰქათქათებდა მუქად ლურჯი, ვარსკვლავებით თხლად დახვრეტილი ციდან. ჭმუნვამ შეიპყრო. ყმაწვილქალობის წლები გაახსენდა. მეზობლის პატარძალმა გიტარის დაკვრა და სიმღერა ასწავლა. ახლაც ახსოვს მოსათვალავი: „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო". მაშინ მას ეს სიტყვები რაღაც სულელურად ეჩვენებოდა. ისე კი, სამღერლად მოხერხებული და მშვენიერნი იყვნენ. დიდხანს ეძება მოსათვალავში აზრი და აგერ დღემდე ვერ აღმოაჩინა. აი თურმე რა ყოფილა მთვარე, მართლა დამწვართ იმედი და ოცნებათა ცეცხლის შემკიდებელი. მთელი მოსათვალავი გაიხსენა, სიმების მაგივრად ნამჯის ღეროებს ითვლიდა თითებით. გაქრა, ჩაეძინა.

უცნაური მგზავრი დილით ადრე წამოდგა საწოლიდან. განთიადის ნისლში თვალი გააყოლა შარას. შორს, ძლიერ შორს, იმ შარის ბოლოში სოფელი მოჩანდა. იმ სოფლისკენ გაეშურა.

შუა აგვისტო იდგა, ჯავახეთში თბილოდა, მსუბუქი ნიავი საამურად დაჰქროდა ტრიალ მინდვრებზე და ელამუნებოდა მგზავრის მკერდს. მინდვრად ხვნა იყო გაჩაღებული. გზის პირებში სალეწი მანქანები რახრახებდნენ. მეცხვარეები ფარებს ბარისაკენ მიერეკებოდნენ. მტვრის კორიანტელი იდგა.

გზა ჩქარა გალია, სოფელს მიუახლოვდა. შიგ შესვლამდის მცირედად შეისვენა თხრილის პირად. დაფიქრდა. სად მიდის? როგორ ეძებოს? დრო არ არის, ვინმეს ჰკითხოს? დიახ, ჰკითხავს, პირველ შემხვედრს ჰკითხავს. აი, პირველ ქოხში მივა, სოფლის განზე რომ დგას და თხელი ბოლი ამოდის საკვამურიდან. პატრონს ნახავს, გაიგებს, რა ჰქვია სოფელს და შიგ ვინ ცხოვრობს. ხომ არ იცნობს ვინმე დასახიჩრებულ ქერიანიძეს?

ქოხის ეზოში მოზრდილი, თეთრი ბომბორა ძაღლი გამოჩნდა, ეზოში გაინავარდა, ქათმები დააფრთხო, ცას შეჰყეფა და სირბილით გადმოეშვა ნაწვერალით შარისკენ. გზის პირად შეჩერდა, ისევ შეჰყეფა მგზავრს, მრისხანე თვალებით შეხედა, ჰაერი დაყნოსა და შარას იქით გადახტა, კარტოფილის ნათესს მიაშურა. იქ კვალში ჩაცუცქდა და ქოხს მიაჩერდა.

ქოხიდან კაცი გამოვიდა, მანაც ნაწვერალი გადმოჭრა, უცხოს თვალი ჰკიდა გზის პირად, გადაიარა შარა და კარტოფილის ნათესში ჩავიდა, ბარი მოიმარჯვა, მუხლი კაპს დააჭირა, სინათლეზე კარტოფილები ამოცვივდა.

— შენ გეძებდი, მოგაგენი, მოგაგენი!

თქვა უცნობმა და ნაწვერალში გადააბიჯა. გეზი ქოხისაკენ აიღო. თამამად გაიარა ეზო და კართან აღმოჩნდა, კარტოფილის ნათესიდან გაავებული ყეფა მოისმა. ძაღლი მორბოდა. შეუტია ქოხის კართან მისულ უცხოს. უცხომ ქოხის კარი შეაღო, შინ შევიდა და მოკეტა. თვალი მიავლ-მოავლო ქოხის მოწყობილობას. ორ დასობილ პალოს გარდიგარდმო დაჭედილ ფიცარზე ქაშანურები, თიხის ფათქი და სურა ელაგა. ძირს, საწოლად თივა ეყარა, ხოლო ერთადერთი ქვეშსაგებ-სახურავი — წითელარმიული სრული ფარაჯა ყუთის თავზე იდო.

უცნობმა ფარაჯა გადმოაგდო. ყაჩაღივით ახადა ყუთს თავი, ამოყარა იქიდან ტანსაცმელი, სინათლეზე გაპხედა და გულამოსკვნით, ცრემლების ღვრით კვლავ გაიმეორა:

— გიპოვე, გიპოვე, განა არ ვიცნობ ჩემ სამიწე გულს, მე მას არ მოვუტყუებივარ და არც მომატყუებს.

ძაღლი კართან ყეფდა. ბრჭყალებით უფხაჭუნებდა ფიცარს, კაცის ხრიალა ხმაც მოისმა.

— ვინა ხარ მანდ?

შიგნიდან არავინ ხმას არ სცემდა ქოხის პატრონს, ამიტომაც კარი ძალით შეჰგლიჯა, შიგ შევიდა, უცნობის წინ გაჩერდა.

— ვინა ხარ და რა გინდა ჩემგან? სად მიგაქვს ეგ ნივთები?! დაყარე და აქედან დაიკარგე! განა არა მყოფნის, რაც მაკლია და მომპარა მტერმა?!

— ნიკა! — წამოიძახა უცნობმა.

— მე ნიკა არა ვარ, გამეცა!

— მაშ ვინა ხარ?

— რა გინდა, ვინცა ვარ, ნიკა კი არა ვარ და!

— ნიკა ხარ, ნიკა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



— არა, არა, გამეცა, ცოდოს არ გადამკიდო!

— არა, არ გაგეცლები, ნიკა ხარ, აი თუ არა! აი, ეს ჩემი ტანსაცმელი, აი, მე და შენი ქალის ციცინოს ზედაწელი, აი მე და შენი ვაჟების შარვლები, აი მეც აგერა ვარ, აბა, შემომხედე, ისეთი რა დაგიშავე, რომ აღარ გინდივარ, აღარ გინდა მიცნო!

უცნობმა წვეტიანი ქუდი მოიხადა და თმა ჩამოიშალა. მერე ისევ განაგრძო:

— აჰა, კიდევ კარგად შემომხედე, გაიხსენე, განა მე და შენ არ ვიყავით, რომ ერთმანეთისათვის სულს ვლევდით? ჰო და, როგორიც მერგო შენი თავი წინათ თუ ახლა... ჩემი ხარ და ჩემი! სულისა და გულის განუშორებელი სიყვარული. შვილები, სახლი, ნათესავები, ნაცარგორის კოლმეურნეები გელიან. ნიკა, სახლს მიხედე და თუ მე და შენს შორის ერთერთი უნდა დაიკარგოს, მე დავიკარგები, მე გამოვესალმები წუთისოფელს.

— ციცინოუ! მე და, — შენ მძულხარ?! მაგრამ აღარა ღირს, ღმერთმანი!

კანკალით თქვა დასახიჩრებულმა, წაქცევისაგან თავის შესამაგრებლად ხელი კედელს მიაბჯინა და ციცინოსკენ გაიწია, მიუახლოვდა, ხელები გაშალა, რომ მოხვეოდა. ქალმა უკან დაიხია.

— მოიცა, ნიკავ! მცირე ხნით გაბრუნდი, ან კარს მოეფარევი, — სთხოვა ნიკას ციცინომ. ნიკამაც კარი გაიხურა, ორი წუთიც არ გასულა, ისევ მოესმა შიგნიდან:

— აბა ნიკავ, შემოდი!

ნიკა კვლავ შევიდა. სანამ გაჩერებას მოასწრებდა, შენიშნა: ციცინოს კაცის ტანსაცმელი გაეხადნა და თავისები ჩაეცვა. ნიკა წამით შეჩერდა.

— რად გაჩერდი, ნიკავ, — უთხრა კვლავ ქალმა, — მოდი, აგერ ვარ შენი ციცინოი!

ნიკამ ხელები გაშალა და, როგორც სამი წლის წინათ, მძლავრად ჩაიხვია მკერდში ცოლი.

ამ სურათს კარგახანს უცქეროდა განცვიფრებული ბასარა. მერე ერთმანეთს მოხვეულებს მიუახლოვდა, ფეხებზე დასუნა, აიყალყა, ერთმანეთს შემოხვეულებს თათები მოავლო და ხან ერთს ულოკავდა საფეთქელს ხან მეორეს.

მესამე თუ მეოთხე დღეს, ნაცარგორას სამი მგზავრი მიადგა. ნიკა ურემზე იჯდა, ციცინო და ბასარა კი ურმის გვერდით მიდიოდნენ. ახლა ბასარა ყველას უღრენდა, ვინც კი ახლოს გაეკარებოდა, ან ხმას გასცემდა ციცინოს.



## გაზაფხული

რა სიხალისე მოჰყვა გაზაფხულს,
იქ ენგურია, აქ რიონია,
გლეხი ღიღინებს საყვარელ ურმულს,
ტყეში ჩიტების მაყრიონია.
ყვავილთა თოვა მოსულა ბაღში,
თეთრად მორთულა ჩვენი სენაკი;
გამოქცეულა ატამი ქარში
და უფრიალებს ვარდის პერანგი.

ლუდუ მოსეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რაც დავიწყებით არ იბინდება

# გულმოხდილი

რამდენიმე შტრიხი პორტრეტისათვის

### 1942 წელი

იმ წელსაც უჩვეულოდ ლამაზი იყო აპრილი. ჰაერში გაზაფხულის დამათრობელი სურნელი ტრიალებდა და ქვეყნად დანთებულ ომის ხანძარს წუთით ავიწყებდა. მშობლიური კუთხის აფერადებული ველმინდვრები დაუდგა თვალწინ. როგორ უყვარდა ამ დროს სოფელი! დედას ორიოდე სიტყვით მისწერა:

— ჩემი ჯავრი ნუ გექნება, ფრონტზე მივდივარ, — და თანაკურსელ გოგონებთან ერთად გულნარა ბიწაძემ თბილისის სამხედრო კომისარიატს მიაკითხა.

ისინი 415-ე საზენიტო არტილერიის პოლკის პროჟექტორთა ასეულის შემადგენლობაში ჩარიცხეს, ჯარისკაცის ფარაჯა ჩააცვეს და პროჟექტორისტის მოვალეობა დააკისრეს.

### 1943 წელი

ასეულმა, რომელშიც გულნარა იბრძოდა კავკასიიდან უკრაინაში გადაინაცვლა. დეკემბრის ცივი, სუსხიანი დღე იყო. მდინარე დნეპრზე სარკინიგზო ხიდის დაცვა დაავალეს. გულნარა პროჟექტორის შუქით გზას უნათებდა არტილერისტებს მტრის ბომბდამშენებისაკენ. ზამთრის სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. მტერი გამალებით მიიწევდა ხიდისაკენ. პროჟექტორის შუქი ზუსტად პოულობდა ზეცაში მათს ადგილსამყოფელს. ცეცხლმოდებული მტრის თვითმფრინავები შემზარავი ხმაურით ეშვებოდნენ მიწაზე. გათენებისას, როცა მოძალებული მტერი მოიგერიეს და ხიდი დანგრევას გადაარჩინეს, ფეხზე მდგარს წასთვლიმა. წუთით სამშობლო სოფელი წარმოუდგა თვალწინ, კვირტებდაბერილ ვენახში იდგა და ვაზს ეფერებოდა.

ერთი კვირის შემდეგ ასეულის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე 20 წლის კომკავშირელი გოგონას გულნარა ბიწაძის სკკპ წევრობის კანდიდატად მიღების საკითხს იხილავდნენ. თანამებრძოლებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება: „ბრძოლებში ვაჟკაცობისათვის, კარგი პოლიტიკური მომზადებისათვის გულნარა კარპეზის ასული ბიწაძე მიღებულ იქნას სკკპ წევრობის კანდიდატად. ეს დიდი ნდობა, დიდი პასუხისმგებლობა იყო და იმ წუთს გულნარას მოეჩვენა, თითქოს წლები მოემატა, ოცი წლისა კი არა, ცხოვრებით მხრებდამძიმებული იდგა თანამებრძოლების წინაშე.

დღითიდღე უძლიერდებოდა სიძულვილი მტრის მიმართ, მზად იყო თავი გაეწირა, ოღონდ კი სამშობლო განსაცდელისაგან ეხსნა.

### 1945 წელი

9 მაისის სანუკვარ დილას გერმანიაში, ბრესლაოში შეხვდა გულნარა. ომის ძნელ გზებზე ბევრი გაჭირვება უნახავს, მაგრამ არასოდეს ცრემლი არ გადმოვარდნია თვალიდან, იმ დღეს კი ტიროდა, გულამოსკვნით ტიროდა თანამებრძოლებთან ერთად.

ბრესლაოში გადასცეს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობა მტრის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისათვის.

მერე იყო სამშობლო, სოფელში დაბრუნების ენით აუწერელი სიხარული. მთელი სოფელი შემოირბინა, ყოველ კუთხე-კუნჭულს თვალი მოავლო, ახლადამოწვერილი სიმინდის ყანაში დადიოდა, ვენახის ძირებს ხელით სინჯავდა, ყველას და ყველაფერს შეჰხაროდა. ცოტა დაისვენა და დროებით შეწყვეტილი სტუდენტური ცხოვრება გააგრძელა.

### 1951 წელი

მანგანუმით მდიდარ ზემო იმერეთში ჩაის პლანტაციების მასობრივად გაშენება იმ წელს დაიწყეს. გულნარა აგრონომად დაუბრუნდა თავის კუთხეს. ბევრს, და მათ შორის სპეციალისტებსაც კი, ეჭვი ეპარებოდათ, შეეგუებოდა თუ არა ჩაის ბუჩქი იმერეთის მიწას. გულნარა დარწმუნებული იყო, რომ ჩაის კულტურა უსათუოდ თხარებდა და დიდ სიკეთესაც მოუტანდა აქაურ ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობებს. მაგრამ მაშინ ახალბედა იყო და ხმამაღლა თავისი აზრი არ გამოუთქვამს. დიდად გაიხარა, როცა თვალუეთისა და სვერის კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების გაშენება მიანდეს. მთელი დღეები ხნულში იდგა, დედა ხანდახან ეუბნებოდა კიდეც, ქალი ხარ და ვერ შეძლებო, მაგრამ აგრონომი არც უამინდობას უშინდებოდა და არც დაღლას. უშუალოდ მისი მონაწილეობით გაშენდა იმ წელს ორმოცი ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

მერე გულნარა რიონის სპეციალისტად დანიშნეს, ჩაის პლანტაციების გაშენება მისი ხელმძღვანელობით სხვა კოლმეურნეობებშიც დაიწყეს და აქაც გაუმართლდათ იმედი — ჩაის ბუჩქმა იხარა იმერეთში, მოსავალიც კარგი მოიტანა და კოლმეურნეობებიც ეკონომიკურად მოამძლავრა.

დღეს ქალაქ ჭიათურის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჩაის წარმოებას 70 პროცენტი უჭირავს და ზონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მისი ხვედრითი წილი საკმაოდ დიდია. ჩაის კოლმეურნეობებისთვისაც და მოსახლეობისთვისაც თვალსაჩინო სარგებლობა მოაქვს. ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფოსათვის ჩაის მიყიდვის გეგმები. ამასთან, იმერეთის ჩაი საუკეთესოა და მეტწილად საექსპორტოდ იგზავნება.

### 1968 წელი

მუშაობაში მძიმე, უაღრესად რთული პერიოდებიც ჰქონია. განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა ამინდის ჭირვეულობას. მაშინ პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს გულნარა ბიწაძეს უჩვეულო ყინვებმა და ჩაის კოლტურის განადგურების შიშმა ყველაფერი დაავიწყა. სამუშაო კაბინეტი მიატოვა და პლანტაციებში დაიდო ბინა. ყოველი საკითხი უშუალოდ ადგილზე წყდებოდა, ოღონდ როგორმე ჩაის ბუჩქისათვის ეშველათ და თავს არ იზოგავდნენ როგორც გულნარა, ისე რაიონის სხვა სპეციალისტებიც.

მაგრამ მისი, როგორც პარტიული მუშაკის, როგორც აგრონომის საზრუნავი მარტო ჩაი არ ყოფილა, სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების წარმოების საკითხებიც უნდა გადაეწყვიტა. ჭიათურის ზონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა რომ თავისი გარკვეული წვლილი შეიტანეს ქალაქის სახალხო მეურნეობის დოვლათის დაგროვებაში, ეს სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომის გულნარა ბიწაძის ღვაწლიც იყო.

### 1976 წელი

შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჭიათურის ზონის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გულნარა ბიწაძის თავდადება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობისათვის გულნარა კარპეზის ასულ ბიწაძეს საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის წოდება მიენიჭა. პენსიაზე გასვლის დღეს კი უთხრეს, შენი ცოდნა და გამოცდილება ახლაც გვჭირდებაო და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის თანაშემწედ დატოვეს.

### 1984 წელი

ერთხელ კიდევ დააფასეს, ამ წელს ჭიათურის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. ჯილდო და პატივი წინათაც მიუღია, მაგრამ სულ სხვა იყო ამჟამად: სახალხო ზეიმის „კვალი ნათელის" დროს ისეთ გამოჩენილ თანამოქალაქეებთან — პოეტ-აკადემიკოს გრიგოლ აბაშიძესთან, აკადემიკოს ანდრია ბიწაძესთან, პროფესორ ვახტანგ ჯაოშვილთან, არქიტექტორ კოტე ჩხეიძესთან ერთად ერგო წილად ეს პატივი. გულნარა ბიწაძეს ყველაზე დიდ ჯილდოდ სწორედ ეს მიაჩნია, რადგან მთელი ცხოვრება ჭიათურის ზონის სოფლის მეურნეობის განვითარებას შეალია.

ლეილა ბიწაძე

# შინმოუსვლელო, სადა ხარ!



1941 წლის 22 ივნისი ავადმოსაგონარი თარიღია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ დღეს დაირღვა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება. შეწყდა სიმღერა, ბედნიერი სიცილ-კისკისი, დაცარიელდა სოფლები და ქალაქები. ათიათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი გაეშურა სამშობლოს დასაცავად. თერჯოლის რაიონიდან 13 000 კაცი ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. აქედან 4.000-მა თერჯოლელმა ვერ იხილა მშობლიური კერა, ვერ იზეიმა ვერაგ მტერზე გამარჯვება. ეს ვაჟკაცები გმირულად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე და დაუტირებლად ჩაივიდნენ საძმო საფლავში. თუმცა გმირებს არა მარტო დასტირიან ჩვენში, გმირებს ადიდებენ და მათს მაგალითზე ზრდიან მომავალ თაობას.

ბევრი რამ გაკეთდა თერჯოლაში შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად. თითქმის ყველა სოფელში მოაწყეს შინმოუსვლელთა სტენდი, გააშენეს შინმოუსვლელთა სკვერები და ბაღები...

**1981 წლის 9 მაისი არასოდეს დაავიწყდებათ თერჯოლელებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე გამარჯვების პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან შეხვდა შინმოუსვლელთა დედებს, ნუგეში სცა და გულთბილად ესაუბრა მათ.**

ამ სახლში გაიზარდა და დავაჟკაცდა დედისერთა ვანო ბასილაძე. 1939 წელს ამ სახლიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად წავიდა იგი. პირნათლად მოიხადა ვალი. შინ დაბრუნებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, რომ წყეულმა ომმა მოუსწრო... ვანომ ბერლინამდე ფეხდაფეხ მისდია მტერს. 1945 წლის მაისში დედამ უკანასკნელი წერილი მიიღო და შეწყდა სამკუთხა ბარათები. დედის გულში გაუნელებელმა ტკივილმა დაისადგურა, ერთადერთი შვილის დაკარგვამ შეიწირა ქალი. უპატრონოდ დარჩენილ სახლს პედაგოგ ივანე კვიმსაძის ინიციატივით სოფელმა უპატრონა. ვანო ბასილაძის კარ-მიდამო ამიერიდან დაღუპულ ჯარისკაცთა უკვდავების სადიდებლად იქცა. ამ სახლში ჭოგრითელი 144 შინმოუსვლელი ღიმილის ბიჭის სურათია გამოფენილი, აქ არის ლეგენდარული კაპიტნის ბუხაიძის სურათი, აქ ჩამოსულა სტუმრად მირზა გელოვანიც. ყოველ 9 მაისს დედისერთას სახლში ზეიმია და... ცრემლიც.



შეკრება მემორიალთან, გამარჯვების პარკში

მაშიკო ლანჩავა ჭოგნარში მოწინავე კოლმეურნედ ითვლებოდა, მისი მეუღლე ვანო რკინიგზელი იყო. ბედნიერი და ტკბილი ოჯახი ჰქონდათ ლანჩავებს, ხუმრობა ხომ არ იყო, სამი ვაჟი ეზრდებოდათ. თვალსა და ხელს შუა დაიზარდნენ ბიჭები, უფროსმა კაკომ საშუალო დაამთავრა თუ არა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში წავიდა სამუშოდ. საცოლშვილო ბიჭები მოგვესწროო, ეჩიჩინებოდა მაშიკო ქმარს და მანამ არ მოისვენა, სანამ ორსართულიანი ოდა არ ააგეს. დედა უკვე კაკოს საცოლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაშიკო ლანჩავა

ძებნაში იყო გართული, რომ 1941 წლის 22 ივნისი გათენდა... პირველი კაკო წავიდა, სულ მალე 17 წლის დათუნა მოხალისედ გაჰყვა ძმის კვალს. უკაცოდ დარჩენილ სოფელში ახლა უფრო გამოიღო ხელი მაშიკომ, კოლმეურნეობაში ჰექტარი მიწა მიიჩინა და სანიმუშო სიმინდის მოსავალი მოიყვანა. ფოსტის დამტარებელს ნუცა ჭარხალაშვილს ყოველდღე მოჰქონდა სამკუთხა ბარათები და ხარობდა დედა. და აი, დამტარებელმა ნელ-ნელა უკლო სიარულს, მერე სულ ამოიკვეთა ფეხი, მაშიკო იმედს მაინც არ კარგავდა. ერთ ღამეს ოჯახის მამას გმინვაში ამოხდა სული. მაშიკომ გასამზეურებლად გატანილ ქმრის კოსტიუმში ორი შავი ქაღალდი იპოვა — კაკო მოსკოვის მისადგომებთან, ხოლო დათუნა სტალინგრადში გმირულად დაიღუპაო, ხოლო მესამე ვაჟი, დღესაც არ იცის სად არის. მას შემდეგ 40 წელი გავიდა, მაგრამ 80 წელს გადაცილებული მაშიკო ლანჩავა ზის შვილების მიერ დადგმულ ქვის მაგიდასთან და გზას გაჰყურებს იმ იმედით, რომ იქნებ რომელიმე მათგანმა მაინც შემოაღოსო ჭიშკარი. სვედამწვარ დედას მთელი სოფელი მხარში უდგას, მოდიან პიონერ-მოსწავლეები, შეშას უჩეხავენ, წყალს უზიდავენ, პური მოაქვთ. ეკლარის კარიერის სამმართველოს უფროსი გრიგოლ ბადირეიშვილი შეფობას უწევს ამ ოჯახს. სულ ახლახან ეზო შემოუღობეს და ოდაც გადაუხურეს.

* * *

ქალაქ თერჯოლის შესასვლელში აღმართულ თეთრ სვეტზე შავი ასოებით არის ამოკვეთილი: „ოთხი ძმის ქუჩა". აქვე სკვერია გაშენებული. და ეს სკვერი შინმოუსვლელი ძმების — ღვანკითელ ალექსანდრე, მოსე, დიმიტრი, ნიკოლოზ რობაქიძეების, საზანოელი მიშიკო, ნესტორ, გაბრიელ, ვიქტორ ხამაშურიძეების, ჭოგნარელი სანდრო, ვლადიმერ, ნიკოლოზ, ვანო ლომთაძეების, კიკა, კალისტრატე, დავით, კალენიკე გოგბერაშვილების, გოგნელი აკაკი, ალექსანდრე, შალვა, ილია გაბრიჩიძეების და რუფოთელი ირაკლი, დავით, გრიგოლ, შალვა გვენცაძეების უკვდავსაყოფად არის გაშენებული, სკვერში მათი სურათებია გამოფენილი. არ შეიძლება მგზავრი წუთით არ შეჩერდეს აქ. მოწიწებით არ მოიხაროს ქედი და არ მოიხსენიოს გმირულად დაღუპული ვაჟკაცები, რომელთაგან ზოგს ცოლ-შვილი დარჩა, ზოგი უცოლშვილოდ გადაშენდა.

* * *

ნინო გოგბერაშვილი ოთხი ვაჟისა და ერთი ქალის დედაა. ერთმანეთზე წამოწეულ ხუთ შვილსაც ზრდიდა და შესანიშნავი მეაბრეშუმეც იყო. ის-ის იყო ცოლ-ქმარმა ნინომ და არკადიმ სახლის მშენებლობა წამოიწყეს, რომ ომი დაატყდათ თავს. 1941 წლის 22 სექტემბერს არკადი და 18 წლის პირტიტველა პავლე ერთად წავიდნენ ფრონტზე. ოთხი პატარა შემორჩა ნინოს ხელზე. უჭირდა ყველას, რა თქმა უნდა, უჭირდა ნინოსაც. „მამა რომელ ფრონტზეა, რამდენი კილოგრამი სიმინდი დაარიგა კოლმეურნეობამ, ღვინო რამდენი მოგივიდა, მაწუხებს



იულია მაკარიძე



სიცოცხლე გრძელდება



ოთხი ძმის ქუჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თქვენი დარდი, შიმშილით არ დაიხოცოთ“,— წერდა პავლე დედას. 1943 წლის I იანვარს დედამ დავაჟკაცებული შვილის სურათი და წერილი მიიღო, ეს იყო და ეს, მერე მისი არაფერი გაუგია. არკადი 1944 წელს დაბრუნდა დაჭრილი. ნინომ ალალი შრომით სანიმუშო შვილები დაზარდა. ყველა დააოჯახა. შვილები დედას დღესაც უმალავენ პავლეს დაღუპვის ამბავს, მაგრამ განა დედის გულს რაიმე გამოეპარება?!**

* * *

თერჯოლაში ლესელიძის ქუჩაზე თუ გაივლით, კაკლის ხის ქვეშ ხშირად შენიშნავთ დაბალ სკამზე ჩამომჯდარ სიმშვენიერე შემორჩენილ მოხუც ქალს. ეს ქალბატონი ფოტინე ბოჭორიშვილია, უყვარს ეს კაკლის ხე, იგი მისი შვილის — დულას დარგულია! ფოტინე სამი ქალისა და სამი ვაჟის ბედნიერი დედა გახლდათ. 1939 წელს დულამ საშუალო დაამთავრა თუ არა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში წავიდა. სულ მალე მეორე ძმა ლევანიც გაემგზავრა ვალის მოსახდელად... 1941 წელს ვალმოხდილი ძმები შინ ბრუნდებოდნენ, რომ ომმა გზაში მოუსწრო. ძმები სხვადასხვა ფრონტზე წავიდნენ მტერთან საბრძოლველად. დულა ტანკისტი იყო და მოსკოვის მისადგომებთან მუსრს ავლებდა მტერს, ლევანი სტალინგრადში იბრძოდა. 1942 წელს შეწყდა ბარათები, 1944 წელს დაჭრილი, ორდენებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა ლევანი. დიდხანს ეძებდნენ დედა და ძმები დულას, ბოლოს ქარელიდან თანამებრძოლმა აცნობა ოჯახს — 1942 წელს ფაშისტებმა ჩემს თვალწინ ააფეთქესო დულას ტანკი. ფოტინე ახლა 14 შვილიშვილისა და ცამეტი შვილთაშვილის ბებიაა, მაგრამ ის ძარღვი, რომელიც დულამ ჩაწყვიტა, არასდროს გაუმთელდება.

* * *

ახალულვაშაკოკრილი 18 წლის გოგიტა 1941 წლის აპრილში იულია მაკარიძემ სავალდებულო სამსახურში გააცილა. მაშინ როგორ წარმოიდგენდა დედა, რომ უკანასკნელად ხედავდა შვილს. 40 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ იულია დღესაც ეძებს ეზოში გოგიტას ნატერფალს, ყოველ ცისმარე სიყვარულით შეავლებს ხოლმე ხელს გოგიტას დარგულ ორ ძირ ვაშლის ხეს. იმ დღეს დიდთოვლობას მოეტეხა ხის ტოტი და მთელ ღამეს ბორგავდა დედა, ელანდებოდა, თითქოს გოგიტას მარჯვენა მოაჭრეს. დღესაც არ სჯერა იულიას, რომ 1943 წელს მისი პირმშო ვაჟკაცურად შეაკვდა მტერს. გურამის ვაჟსაც გოგიტა ჰქვია. ხუთი შვილი თავს ევლება იულია მაკარიძეს, რომელიც შრომაში იქარვებს დარდს.

შინმოუსვლელთა დედებს არც პარტია და მთავრობა აკლებს ყურადღებას, ყოველ რვა მარტს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ანზორ ბურჯანაძე უსათუოდ საჩუქრებს მიართმევს მათ.

დიახ, მას შემდეგ 40 წელი გავიდა, მაგრამ დედების გულში ჭრილობა მოუშუშებელი დარჩა.

**ოლია რევია**

ცირა ქიტიაშვილი

## ვაშა, კეთილო კაცო

ომგადახდილ კიონერხელმძღვანელს

იმ ხელმძღვანელის სახელს
დავივიწყებდით განა,
ვინც ჩვენ თებერვლის ქარში
თეატრში წაგვიყვანა?!

ვაშა, კეთილო კაცო,
კაცურ კაცობის რწმენავ,
მე თეთრ ვარდებად მახსოვს
იმ ცივი ფიფქის ცვენა.

ბარათაშვილის ხიდი
ცას შებჯენოდა ბურჯად,
გაქუცულიყო სკვერი,
აჯაგრულიყო ქუჩა.

იწვა ქალაქზე ჯანღი,
იდგა ამინდი მკაცრი
და მიგვიძღოდი ბავშვებს,
წინ ხეიბარი კაცი.

ღიმით ებრძოდი ტკივილს,
რადგან, ტკივილის ფასით,
დავზრდილიყავით გსურდა
შენი ოცნების მსგავსნი.

ვაშა, კეთილო კაცო,
კაცურ კაცობის რწმენავ,
მე თეთრ ვარდებად მახსოვს
იმ ცივი ფიფქის ცვენა.

მე გამარჯვებად მახსოვს,
იმ დღის ფიქრი და გზნება,
ქარს სიმღერები ჩვენი
ვერცხლის ეჟვნებად ება.

დიდი ზღვა იყო გული,
და ყელსახვევი — აფრა,
აღარსად იყო სევდა,
თითქოს შიმშილიც გაქრა.

ბავშვურ სიზმრებში მენთო
მერე დარბაზის ჭაღი,
ფართოვდებოდა სივრცე,
ზევით იწევდა თაღი

და მოფრინავდა მზისკენ
ჩემი ოცნება ლაღი.
იმ დღის ხსოვნა და ხატი
მთელი სიცოცხლე გამყვა.

და ბდღვრიალებდა სულში,
როგორც თეატრის რამპა.
ვაშა, კეთილო კაცო,
კაცურ კაცობის რწმენავ,
მე თეთრ ვარდებად მახსოვს
იმ ცივ ფიფქების ცვენა!

მზია ჩხეტიანი

## სახლი სოფლის განაპირას

რა ტკივილმა აგატირა,
მხრებს რა მძიმე ცალული აქვს...
სახლი სოფლის განაპირას
რა საფიქრალს წაუღია?
სხვამ რამ უნდა დამაჩოქოს,
რა ხატმა და ისკელიტამ,
აქ ვინ გაზრდის ლამაზ გოგოს,
მადლკურთხეულს, ღვთის ხელითა!
არც ღობეზე შემოდგება
ყრმაი ვინმე ანთებული,
არც — უმწიკვლო შეცოდება,
არც რა — დედის საყვედური.
ვინ რა გზებმა შეიწირა,
ან ეს ცრემლი რა გზით წავა,
რას ფიქრობენ ღელის პირას
შავმსხალა და კაცითავა?
ყრუ ეზო-კარს რა დარდს ჰმატებს
ძველი მთვარე ფერმიმკრთალი?!
რა ლანდივით დაფარფატებს
გალეული ბერი ქალი.
ვერ ელევა თავის ყურეს,
კერას,
ქმარზე მოგონებას,
ვერაფრით ვერ გაიტყუეს
შორსწასულმა გოგონებმა.
— გზრდიდით,
არ ვარ არვის ვალში,
მეც გავეცი ჩემი ღალა,
შინმოუსვლელ ჯარისკაცის
ნამუსი არ შემიბღალავს!
ერთავდი,
ვქსოვდი,
თუ ხარ-ურემს
ვდევდი გოდორ-კალათებით,
და უკაცო ეზო-ყურეს
ვათბობდი და ვანათებდი.
არ გაჩევდით ლუკმას არამს,
ვწევდი,
რასაც შევიძლებდი,
აქ დამტოვა ჩემმა ქმარმა,
აქ დამარხეთ ჩემი ძვლები.
გამივლია გზაი წილი
არც ბედს არას ვემდურები,
თქვენ მახარეთ ქმარის, შვილის
და სიკეთის ერთგულებით!..

# 1941 წლის ივნისი...

ეროვნული ბიბლიოთეკა














ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1945 წლის მაისი...















ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოში ბევრი ბედნიერი ოჯახია, რომელთაც მოწოდება – „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა", მთავარ დევიზად გაუხდიათ. ერთერთი იმათგანია თბილისელი ნესტან და გია გრიგოლიები, რომელთაც დიდი ბედნიერება ეწვიათ. ოცდაერთი წლის ნესტანი უკვე სამი შვილის დედაა – გვანცა სამი წლისაა, ტყუპები კარლენი და ტრისტანი – ორ-ორი თვისანი.

# რედაქციაში უსახელო წერილი მოვიდა

1985 წლის 28 იანვარს თბილისის № 1 სამშობიარო სახლში, სადაც მე ვმკურნალობდი (ოპერაცია გამიკეთეს) მოიყვანეს 21 წლის გოგონა ნესტან სოხაძე-გრიგოლია, რომელსაც ექიმები ტყუპ ნაყოფს უწინასწარმეტყველებდნენ. ეს ავადმყოფებისათვის ისეთი საინტერესო იყო, რომ თითქმის ყველა ნახულობდა. მე ერთი ქალიშვილის დედა გახლავართ და დავინტერესდი. მეგონა ეს მისი პირველი მშობიარობა იყო. გამოირკვა, ნესტანს უკვე ჰყოლია 3 წლის გოგონა, რომელიც ქირურგიული ჩარევით შეძენია. ექიმები თურმე უკრძალავდნენ სამ წელზე ადრე ბავშვის გაჩენა არ შეიძლებაო, რადგან ისევ საჭირო იქნება კვლავ ქირურგიული ჩარევაო. მან ეს იცოდა, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მაინც მიეყოლებინა და მალე გაეჩინა მეორეც. როგორც თავად ამბობდა, არც მისთვის, არც მისი მეუღლისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ბიჭუნა გაჩნდებოდა თუ გოგონა. და აი 1985 წლის 3 თებერვალს ღამის 12 საათზე ტკივილები დაეწყო, ხოლო 4 თებერვალს დილის 4 საათზე უკვე ულოცავდნენ ტყუპი ვაჟების შეძენას, რომლებიც ქირურგიული ჩარევით ამოიყვანეს დედის მუცლიდან. ეს ამბავი შეიძლება დიდად გასაკვირი არც იყოს, მაგრამ მე აღფრთოვანებული ვარ ამ 21 წლის, უკვე სამი შვილის დედის გმირობით, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის; რომ ბევრი შვილი ჰყოლოდა; მიკვირს და თან გული მწყდება, მე რატომ ვერ შევძელი გამეზარდა შვილი ისე, რომ მასაც ეფიქრა მრავალ შვილზე. ჩემს სიძესა და ქალიშვილს, რომლებსაც ერთი გოგონა ჰყავთ, გახსენება არ უნდათ მეორე შვილისა — ვაი თუ ისიც გოგო გაჩნდესო. თავად ბუნებამ დამჩაგრა, მამა ომში დამეღუპა, დავრჩი ერთი შვილი, გავთხოვდი, შემეძინა ერთი ქალიშვილი. მე და ჩემი მეუღლე ვოცნებობდით მეორე შვილზე, მაგრამ მეუღლე ადრე გარდამეცვალა. ვფიქრობდი ბევრ შვილიშვილს მაინც გავზრდიდი, მაგრამ იმის შიშით მეორეც გოგო არ იყოსო, არ უნდათ ჩემს სიძე-ქალიშვილს მეორე შვილის გაჩენა.

გთხოვთ ეს წერილი გამოაქვეყნოთ. შეიძლება ვინც ასე ფიქრობს, მიბაძოს 21 წლის ნესტან სოხაძე-გრიგოლიას, იქნებ მასაც გაუმართლდეს.

ბოდიშს გიხდით ჩემს სახელსა და გვარს რომ ვერ ვწერ. ამით გავალიზიანებ ჩემს სიძესა და ქალიშვილს.

ხშირად ვუკავშირდები ტელეფონით ნესტანს, რომელიც კმაყოფილებით მპასუხობს, რომ კარგად არის, კარგად ჰყავს სამივე შვილი და სულაც არ უჭირს მათი გაზრდა, ვინაიდან გვერდში მოამაგე მშრომელი დედამთილი და მოყვარული მეუღლე უდგას.

**მინაწერი:** რედაქციამ რა თქმა უნდა, მოძებნა ნესტანი, გაგზავნა მასთან ფოტორეპორტიორი და კორესპონდენტი. ყველაფერი მართალი გამოდგა. ნესტანი ბედნიერი დედაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე ჟღენტმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ასპირანტურაში დარჩენას სთავაზობდნენ პროფესორ-მასწავლებლები, მაგრამ დედობის გრძნობამ გადასძლია, დაოჯახება, შვილთა სიმრავლე უფრო დიდ საქმედ მიიჩნია, ორ წელიწადში სამი შვილის დედა გახდა.



დ. იაკობაშვილის ფოტოები



გიორგი, ნინო და მედეა — აი, მარინე ჟღენტისა და მალხაზ ჩიქოვანის ცხოვრებისა და შრომის მიზანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მირზაანი და მირზაანელები

ნარკვევი

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს საქმეს რა გამოულევს! ვერა და ვერ მოვიხელთე. პარტორგანიზაციის მდივანთან ილია თარაშვილთან შევედი. მან სკამი შემომთავაზა და მორიდებით შემათვალიერა:

— რა საქმეზე მობრძანებულხართ?

— თუ დრო გაქვთ, მინდოდა გაგვსაუბრებოდით. მაინტერესებს, თავიდან რა იყო მიზეზი მირზაანისა და ზემომაჩხაანის გაერთიანებისა, ან ოცი წლის შემდეგ ისევ რატომ გაიყო ეს სოფლები?

— მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლის მოსახლეობის ნახევარი გონაანთ კალოებზე (ახლანდელ სოფელ გამარჯვებას ვგულისხმობ) გავიდა საცხოვრებლად, ზოგი კი წითელწყაროს რაიონში დასახლდა. ახალგაზრდობა ცოდნის შეძენის საბაბით რომ მიდიოდა, უკან აღარ ბრუნდებოდა; ამ პატარა სოფლიდან ფრონტზე 130 ვაჟკაცი წავიდა და 54 შინ ველარ დაბრუნდა. მათი ოჯახების უმეტესობა ჩაქრა. მოსახლეობა რომ შეცოტავდა, 1957 წელს ასამდე კომლი რაჭიდან ჩამოგვისახლეს, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს, რადგან აქაური მკვიდრნი და ჩამოსახლებულები მაინც არ ჩერდებოდნენ. მშრომელთა მოთხოვნის საფუძველზე 1963 წელს მირზაანის მეთვრამეტე პარტყრილობისა და ზემომაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები გაერთიანდნენ. ფიროსმანის სახლ-მუზეუმის გახსნის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რაიონის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება გამოიჩინა ჩვენდამი: კეთილმოწყობილმა გზებმა, სინათლემ და წყალმა მცხოვრებთა წასვლა შეაჩერა. მოსახლეობა მომრავლდა. ამიტომ 1983 წელს კოლმეურნეთა მოთხოვნით ისევ დავცალკევდით. შეერთებული კოლმეურნეობის წევრები კარგად ცხოვრობდნენ, შრომადღის ანაზღაურება კარგი ჰქონდათ და როგორც ხედავთ, ეკონომიკურად მომძლავრდნენ — ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებიც აიშენეს და რიცხობრივადაც გამრავლდნენ, მაგრამ ამ ოცი წლის მანძილზე მირზაანისათვის მცირედი გაკეთდა. საოჯახო და სასურსათო მაღაზიები კვლავ ძველსა და პატარა შენობებშია, სივიწროვეა საყოფაცხოვრებო მომსახურების ფილიალშიც, სადაც მხოლოდ ქალის კაბებსა და საბნებს კერავენ; რვაწლიან სკოლაში საკლასო ოთახები არ ჰყოფნით.

— როგორ გესახებათ თქვენი სოფლის ახლო მომავალი?

— ამ ერთ წელიწადში ცდა არ დაგვიკლია და ზოგი რამის გაკეთება მოვასწარით. რაც მთავარია, სახელმწიფო გეგმებს კარგად გავართვით თავი. ეს შენობა ქოხმახს ჰგავდა, სადაც ბიბლიოთეკა და საბავშვო ბაღი იყო მოთავსებული. ბიბლიოთეკა ძველი სკოლის შენობაში გადავიტანეთ. ბაღი კი ჯერჯერობით არა გვაქვს, რის გამოც ბავშვიანი ქალები ვერ დაგვისაქმებია, ამიტომაც პირველ რიგში საბავშვო ბაღი უნდა ავაშენოთ.

რაიონის ხელმძღვანელობამ ახლადგამოყოფილი კოლმეურნეობის თავკაცობა სულ ახალგაზრდებს მოგვანდო, — ილიას ეღიმება, — ძალიან ვცდილობთ, რომ თავი არ შევირცხვინოთ. ეს შენობა შევაკეთეთ და მდიდრული თუ არ არის, არაუშავს, სუფთა და ლამაზია. ჩვენს გარდა ყველა სოფელს აქვს შინმოუსვლელთა სტენდი. ჩვენ კი... გადავწყვიტეთ, საბანი როგორც გაგვწვდება, ფეხი იგრე გავშალოთ. ილია ღია ფანჯრიდან გარეთ იყურება, — ეს კვირაცხოველის საყდარი უნდა შევაკეთოთ და შინმოუსვლელთა სტენდი მოვაწყოთ. უკვე გავასუფთავეთ მისი ჩრდილოეთი მხარე და მარადმწვანე ნერგები ვახარეთ. 54 ძირი წითელი ვარდი უნდა დავრგათ. დრო და სახსრები გვჭირდება, ყველა ჩვენს ჩანაფიქრს ხორცი რომ შევასხათ!

„კარგი ახალგაზრდაა“ — კანტორიდან გამოსული ვფიქრობ და ეზოში დავდივარ. მშვენიერი გაზონები მოუწყვიათ, ფერადფერადი ყვავილები, ვარდები და მარადმწვანე ბუჩქები ერთმანეთს ჰარმონიულად შერწყმია. ბაღის ჩრდილოეთით, მინებჩასმული ვიტრინები გაუმართავთ. სურათებიდან სოფლის მოწინავე ადამიანები ამაყად თავაწეულნი იმზირებიან.

სკოლიდან ბავშვები ჟრიამულით გამოვიდნენ, კანტორის ეზოში გადმოუხვიეს და მიჩუმდნენ. თვალები გაუბრწყინდათ ამდენი ყვავილის ერთად ხილვით. პატარა გოგონამ ვარდს ხელი წაატანა, ბიჭმა მაჯა დაუჭირა:

— არ მოწყვიტო, გოგო!

— რა შემაშინე, ბიჭო! მინდოდა მოვფერებოდი.

ბაღიდან წყნარად გამოვიდნენ და გზაზე ისევ ცელქობა დაიწყეს. მესიამოვნა სილამაზისადმი მათი მოკრძალება.

გზაზე გამოსულს ორღობეებისა და ეზოების სისუფთავე მომხვდა თვალში. ცოცხებითა და ფოცხებით შეიარაღებული ახალგაზრდები შევნიშნე. მივესალმე, კომკავშირელები აღმოჩნდნენ. ერთი ვაჟი წინ წამოდგა და მეუბნება:

— რა გაკვირვებული გვიყურებ, დეიდაჩემო, მალე ფიროსმანობა გვაქვს და ვასუფთავებთ. აბა, რა ვქნათ, ჩვენი კომკავშირის მდივანი მანანა ფიროსმანაშვილი გასათხოვარი გოგოა და თითს საითაც გაგვიშვერს, ჩვენც იქით გავრბივართ, ეგების თავი მოვაწონოთ!

მის სიტყვებზე გულიანად ხარხარებენ. მეორე ჯგუფს რომ წავადექი, ხნიერნი აღმოჩნდნენ და კიდევაც მიცნეს. გრძელ ხის სკამზე მიმიპატიჟეს:

— ჩვენებურო, რაზე ჩამოსულხარ? ფიროსმანობაზე ხო დარჩები? ქვეყნის სტუმრები გვეყოლება. კარგი მასპინძლობა უნდა გავუწიოთ ნიკალას სტუმრებს. ღმერთმა სულით გაანათლოს, ქველა სიკეთე მისგან მოგვდგამს მირზაანელებსა. სინათლე და ტელევიზორი წინათაც რო გვქონოდა, აქედან არავინ აიყრებოდა. ახლა, რო გაიგეს, ფიროსმანის სამშობლო მირზაანი საჩვენებელი სოფელი უნდა გახდესო, ზოგი უკანვე მორბის. ბუნებრივ გზასაც გამოგიყვანთ და კულტურის სახლსაც აგიშენებთო, — მაშა!

— კაცო, გიგო, რა ენად გაიკრიფე, დააცა ახლა ფიდომა და აბრიამ ილაპარაკონ!

— არაფერსაც არ დავაცდი, ჯერ მე არ ამამიწმენდია გულის ბუხარი. სადალაქო, აბანო და ამბულატორიაც გექნებათო. სხვა ექიმებთან ერთად კბილის ექიმიც გეყოლებათო. აი, ჩემ დედაკაც ყოველლამე კბილები აწუხებს და არ მაძინებს. მივიყვან და პირწმინდად დავაგლეჯინებ. რაც აღარ ექნება, რაღა ასტკივდება?!

ყველანი იცინიან. აბრიამ ჩემსკენ გადმოინაცვლა:

— ქვემო მირზაანი ხო გახსოვს, რა მჭიდროდ დასახლებული უბანი იყო. წყაროსწყალიც იქიდან ამოგვქონდა სახედრებით. ახლა ქაჩავენ და აი, მილებში გადმოდის. ის უბანი მთლიანად აიყარა. იმ ადგილას წითელწყაროს მექათმეობის კომპლექსია. ზაფხულობით იმათი ბუზები ცხვირ-პირში გვიძვრებიან და სუნი გვახრჩობს. ადგილიც კარგა ბლომად შამაილობეს. სოფლის ნახირი გარედან შეჰბლავის აბიბინებულ ბალახსა. წყალიც მეტი წილი იმათ უნდებათ, თორემა ჩვენთვინ საკმაო გვექნებოდა.

— მე მთელი სოფლის სატკივარი მაქ სათქმელი, — მეუბნება ფიდო ჩიჩხაშვილი, — 250 ჰექტარი ტარიბანის ნაკვეთი ჩამოგვართვეს და გამარჯვების კოლმეურნეობას გადასცეს. სამა-

17.920



კომკავშირის კომიტეტის მდივანი
მანანა ფიროსმანაშვილი



კოლმეურნეობის სტენდთან



კომკავშირული რგოლი

დ. იაკობაშვილის ფოტოები

გიეროდ მწარე წყალზე და ქვიშიანზე მოგვცეს. გვეუბნებიან, ვითომ მიწების გასამახივებლად გავაკეთეთო. არც გამასივება გამოდის და, თანაც, — ოქროს რკინაში რომელი სულელი გასცვლის?

ჩაფიქრებული მივყვები გზას. წინ მიმავალი ბავშვებიდან რომელიღაცამ ძირს კამფეტის ქაღალდი დააგდო, აძლებინეს და კარგადაც შეამკეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, შალვა ბიკაშვილს მესამე დღეს შევხვდი. მისი ბიოგრაფია სოფლის მშრომელებისაგან უკვე ვიცოდი. ეს ახალგაზრდა კაცი სოფელს შეუყვარებია. საშუალო სიმაღლისაა, შავი დიდრონი თვალები აქვს, სახის სწორი ნაკვთები და შავი გრუზა თმა. კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, უკვე ორი შვილის მამაა. წითელწყაროს რაიონში შეიძლება ყველაზე ახალგაზრდა თავმჯდომარეც არის მეთქი, ვფიქრობ და ვეკითხები:

— თქვენი ახლადგამოყოფილი კოლმეურნეობა როგორ ართმევს თავს სადღეისო პრობლემებს?

— მართალია, გამოყოფისას ჩვენი კუთვნილი ყველაფერი მოგვცეს — ვალიცა და მოგებაც, მაგრამ კოლმეურნეთა დიდი მონდომება და შრომითი შემართება რომ არა, ძალიან გაგვიჭირდებოდა სახელმწიფო გეგმების შესრულება. დღეისათვის ჩვენმა ეკონომიკამ საშუალება მოგვცა, რომ კოლწევრებსაც დროულად მივცეთ ხელფასი და ახალი მანქანა-იარაღებიც შევიძინოთ. რაიონის ხელმძღვანელობა ძალიან გვეხმარება. სოფელში 275 კომლი ცხოვრობს, 300 კოლწევრი შრომისუნარიანია, 42 პენსიონერი გვყავს, 33 — მოსამსახურე. სოფლის ინტელიგენცია ყოველთვის მხარში გვიდგას სკოლის დირექტორის ლენა ჩუთლაშვილის თაოსნობით.

სწორად უთქვამთ, კაი კაცის გულიდან სიწრფელე თავკვერივით გადმოდისო. შალვა სასიამოვნო ბარიტონით მიხსნის ყველაფერს, მაგრამ ვატყობ, სადღაც მიეჩქარება და კოლმეურნეობის ბუღალტერთან შოველ ბალაშვილთან შევდივარ. მან კი ციფრების ისეთი კორიანტელი დააყენა, ძლივს ვასწრებდი ჩაწერას.

— ჩვენი მიწების საერთო ფართობი 5372 ჰექტარს შეადგენს. აქედან 1373 ჰექტარი სახნავია, 300 ჰექტარი ვენახი, 225 ჰექტარი სრულმოსავლიანია, დანარჩენი ახალშენი. შარშანწინ 520 ტონა ყურძენი მოვკრიფეთ. შარშან კი ამავე ფართობზე — 1350 ტონა. დანარჩენი მიწები სათიბი და საძოვრებია. 6400 ცხვარი გვყავს, 1350 ღორი, აქედან 125 დედაღორია. 570 მსხვილფეხა საქონელი გვყავს, აქედან 270 მეწველია. მწველავი ქალები გამოვათავისუფლეთ, რადგან ფერმები სოფლიდან შორსა გვაქვს და ღამე შრომა ძნელია ქალისთვის, შინ ქმარშვილი ელოდება... მარცვლეულის გეგმა 127,7 პროცენტით შევასრულეთ, მატყლისა — 158,3 პროცენტით, ხორცისა 110,4 — პროცენტით, რძისა — 105,6 პროცენტით. საკვების მოპოვებაში რაიონში პირველობა არავის დავუთმეთ.

მახარებს თანასოფლელთა წარმატებები, მაგრამ მათთან გასაუბრებისას შევიტყე, ტარიბანის მიწების ამბავი, რასაც ფიდო ჩიჩხაშვილი შემომჩიოდა, ეს საქმე იმდენად გულთან ახლოს მიუტანიათ, რომ თითქმის ყველა ოჯახში მსჯელობის საგნად ქცეულა. ბუნებამ ყველა ჭეშმარიტებას თავისთავადი არსებობა მიანიჭა და სასურველია, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ეხება, სჯობდა დროულად გამოენახა გულისტკივილის მალამო მირზაანელი მშრომელებისათვის.

ფიროსმანის ნახატები ერთხელ კიდევ დავათვალიერე. იქიდან გამოსული ალავერდის ქვაზე ჩამოვჯექი და დაფიქრებულმა ისევ მუზეუმის შენობას დავუწყე ცქერა. „თავის სოფელში მაინც დამარხულიყო!“

ოფლიან შუბლზე გრილი სიო მელამუნება, უცებ სულ ახლოს, მხარმარცხნივ თეთრსამოსიანი ფიროსმანი ისვეტება, შუბლზე ჭაღარა ქოჩორი ჩამოშლია, ნაღვლიანი დიდრონი თვალებით სადღაც შორეთში იყურება. ფეხზე ვდგები, არ ვიცი მხედავს თუ არა, ის ისევ ფიროსმანიანთ უბანს გაჰყურებს, რომელიც ასე კოლორიტული და თავისებურია.

ვიგრძენი, რომ ერთ ადგილს მივეწებე, შორიდან ვეჩურჩულები: — იქ თქვენი ნახატების საექსპოზიციო დარბაზებია.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიროსმანის სახლმუზეუმი

ალსრულდა თქვენი ოცნება, — თბილისში დიდებული ჩაის სახლი გვაქვს, სადაც სხვადასხვა ქვეყნის მხატვრები ფინჯან ჩაიზე მეგობრულად ატარებენ დროს. მან ნაღვლიანად გადმომხედა, ამოიოხრა და გაუჩინარდა. აღელვებული მივეახლე ჩემი მშობლების სამარეს და ცოცხლებივით გავესაუბრე.

ნელი ნაბიჯით ვათვალიერებ სასაფლაოს. თვალში მომხვდა მარმარილოზე გამოსახული ქალისა და კაცის სურათი: თამარ და გიორგი მელიქიძეები. კაცის სიკვდილი ვიცოდი, მაგრამ ქალისა...

გამახსენდა მათი ქორწილი. მაშინ სინათლე არა გვქონდა და მუსიკაც იშვიათობა იყო. სიღნაღიდან მოყვანილმა მუსიკოსებმა ქართული საცეკვაო რომ დაუკრეს, მთელი სოფლის გოგო-ბიჭობა გავრბოდით, ძაღლებიც აგვედევნენ, არ ვიცი, მათაც მუსიკის მოსმენა ეწადათ თუ ნეფე-პატარძლის დანახვა.

ყოველგვარი ხელოვნება ღერძია კაცობრიობის პროგრესისა, მაგრამ მუსიკა მაინც პირდაპირ სულში იჭრება. პირველად ვისმენდი ისეთ ჰანგებს და ზღაპრულ სამყაროში გადაფრენილს, პატარძალიც ზღაპრულ ფერიად მეჩვენებოდა.

ის ბავშვობის შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ მას შემდეგ ეს ქალი, ჩემი სოფლის აუცილებელ სამკაულად მიმაჩნდა და მისმა სიკვდილმა გულწრფელად ამატირა. ცრემლები შევიმშრალე და ჩემსკენ მომავალი თამარ მელიქიძე დავინახე. უმალ საიქიოდან დაბრუნებულ ლანდად მივიღე. მოახლოებულმა ხელი გამომიწოდა, მაგრამ შემკრთალმა უკან დავიხიე და მეტყველებაწართმეულმა თავი მისი სურათის მხარეს გავაქანე.

მან ნაღვლიანად გამიღიმა და თავი იმართლა:

— მე გავაკეთებინე. უშვილძიროდ დარჩენილს, რომ მოვკვდები, ვინღა გამიკეთებს?

მივჩერებოდი მის დალეულ ლამაზ სახეს და აწურულ მხრებს, თითქოს სცივაო.

„ზოგზე ამინდი აღარ მოქმედებს, რადგან ყველას თავის გულში აქვს თავისი ღრუბლიანი თუ უღრუბლო დღე“ — გავიფიქრე და დავემშვიდობე.

თინა მირზაანელი

---

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

# როგორ ჩაიწერება მიშვილებული ბავშვი მიმშვილებლის ბინაში

კითხვა: მიმშვილებელი ცხოვრობს ქალაქ ჭიათურაში. მისაშვილებელი არასრულწლოვანი კი ცხოვრობს საჩხერის რაიონში. ამ შემთხვევაში რომელი ქალაქის ან რაიონის განათლების განყოფილებამ უნდა გამიფორმოს ბავშვის მიშვილების საკითხი?

პასუხი: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის მარტის ბრძანებულებით და საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო კოდექსის 108-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, ბავშვის შვილად აყვანის სურვილის შესახებ განცხადება შეუზღუდავად შეგიძლიათ შეიტანოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის, ან გასაშვილებელი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

პრაქტიკულად ზემოაღნიშნულ საკითხზე საბუთები უნდა შეიტანოთ ჭიათურის განათლების განყოფილებაში, რომელთა მეურვეობის და მზრუნველობის ორგანომ უნდა შეამოწმოს თქვენი პიროვნება (როგორ ხასიათდებით მორალურად), რა საოჯახო პირობები გაქვთ, წინათ ხომ არ გყავდათ სხვა ბავშვი ნაშვილები, რომელსაც ჯეროვნად არ მოუარეთ, ან მშობლის უფლება ხომ არ გქონდათ ჩამორთმეული; შეამოწმოს სრულყოფილია თუ არა თქვენ მიერ წარდგენილი საბუთები, მოგცეთ მიმართვა თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პოლიკლინიკაში, რათა სამედიცინო კომისიამ შეგამოწმოთ თქვენ ჯანმრთელი ხართ თუ არა. ყოველივე ამის შემდეგ სამეურნეო საბჭო თავის დასკვნას აღმასკომს წარუდგენს საკითხის გადასაწყვეტად.

თუ თქვენი თხოვნა თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება, აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე მმაჩის ორგანო გასცემს ბავშვის მიშვილებისა და დაბადების მოწმობას.

საქართველოს სსრ საბინაო კანონთა კოდექსის 62-ე მუხლის მოთხოვნით ოჯახის წევრად ითვლებიან მეუღლეები, შვილები, ერთად მცხოვრები მშობლები, და-ძმანი და ის პირი, ვინც იმყოფება ბინის ძირითადი დამქირავებლის კმაყოფაზე.

არ არსებობს ბინაში მშობელთან (ან მშობლებთან) არასრულწლოვანი შვილის ჩაწერის დამაბრკოლებელი გარემოება. სრულწლოვან შვილს თუ არა აქვს ოჯახი, არა აქვს ბინა, მშობლებთან მისი ჩაწერისათვის კვადრატურის სიმცირე არ ითვლება დამაბრკოლებელ გარემოებად, თუ ოჯახის სრულწლოვანი წევრები მისცემენ თანხმობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოდა

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოდელების სახლში.





ავტორები მხატვარი მოდელიორები — — ნანა ცქვიტაია და მანანა კუპრაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პრორექტორი

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მრავალრიცხოვან კოლექტივში ბევრია სახელმოხვეჭილი, ამაგდარი, ღვაწლმოსილი, მოწინავე, ყურადღების ღირსი ადამიანი. თითოეულის ცხოვრების გზა საინტერესო, მრავალფეროვანი და მისაბაძია. ამჯერად ინსტიტუტის პრორექტორზე — პროფესორ ალექსანდრა გორგიძეზე გვსურს მოგითხროთ: გასაოცრად ახალგაზრდული ენერგიის, საქმიანი, პრინციპული, უმწიკვლო, მხნე, გაბედული, ხალისიანი, ალალმართალი და მუდამ კეთილად მომღიმარი — აი, რამდენიმე ძუნწი შტრიხი მის შესახებ. დაძაბული შრომით ბრწყინვალე გზა განვლო უფროსი ლაბორანტობიდან პროფესორამდე ქალბატონმა ალექსანდრამ.

1945 წელს წარჩინებით დაამთავრა ტყიბულის რაიონის ორპირის საშუალო სკოლა. გულმოდგინეობამ, შეუპოვრობამ, ახლისძიებისაკენ ლტოლვამ თავისი გაიტანა — 1945 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, წილად ხვდა ბედნიერება მოესმინა აკადემიკოსების: ი. ბერიტაშვილის, ნ. კეცხოველის, ლ. ყანჩაველის; პროფესორების ქ. ცხაკაიას, პ. ქომეთიანის, გრ. პაპალაშვილის საინტერესო ლექციები.

როგორც ფრიადოსანმა სტუდენტმა ამხანაგებისა და პროფესორ-მასწავლებლების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომკავშირულ-პროფკავშირულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩაბმული იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, საინტერესო მოხსენებებისათვის ბევრჯერ დაიმსახურა საპატიო სიგელები, მადლობები. მისი მონდომება, საქმისადმი სიყვარული აღმზრდელ პედაგოგებს არ გამოპარვიათ, ურჩევდნენ გაეგრძელებინა მუშაობა. აკადემიკოს ნ. კეცხოველის უშუალო რეკომენდაციით 1951 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა გენეტიკის განხრით. ხელმძღვანელობას უწევდა აკადემიკოსი ვლ. მენაბდე. 1955 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1978 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საქართველოს ენდემური ხორბლების ფილოგენეტიკა", რომელიც 1977 წელს წიგნადაც გამოვიდა და დიდი მოწონება ხვდა წილად, როგორც აკადემიკოს ნ. ი. ვავილოვის იდეების გამგრძელებელს.

ალ. გორგიძე ოთხი მონოგრაფიის ავტორია. გამოქვეყნებული აქვს 110-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ძნელია ამ მოკლე წერილში ნაშრომებისა და მონოგრაფიების უბრალო ჩამოთვლაც, რომელიც ავტორის უტყუარ ალღოზე მეტყველებენ.

დიდია მისი დამსახურება როგორც მეცნიერების წინაშე, ასევე პედაგოგიურ სარბიელზე. მისი ხელმძღვანელობით ხუთმა ახალგაზრდამ ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკანდიდატო ხარისხი მოიპოვა. მის გარშემო ნიადაგ შემოკრებილნი არიან ასპირანტები და მაძიებელნი.

ქალბატონი ალექსანდრა 1980 წლიდან ხელმძღვანელობს ბოტანიკის კათედრას, 1984 წლის მარტიდან პრორექტორია სამეცნიერო ნაწილში.

მის სამუშაო ოთახში შუქი გვიან ქრება. საქმეს, საზრუნავს რა გამოლევს?! — თავაზიანად იღებს ყველას, ძალ-ღონეს, ენერგიას არ ზოგავს, რათა გამრავლდეს ღირსეულ მკვლევარ მეცნიერთა რიცხვი სოფლის მეურნეობის დარგში. დღესაც მოუსმინა, დაარიგა, კონსულტაცია გაუწია უცხოეთიდან ჩამოსულ ასპირანტებს: სირიელ — ნანაა ახმადს, ეგვიპტელ — აბდალა ელ-სამედ მოხამედ ხასსანს...

ყოველ დილით დარბაისლური ნაბიჯით შეაღებს აუდიტორიის კარებს, იწყება მიმზიდველი, საინტერესო ლექცია... გულისყურით უსმენენ მის ლექციებს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, იგი ასევე ხშირი სტუმარია ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის სოფლის მეურნეობის და ბიოლოგიის წრეებისა, სადაც ყოველ გაზაფხულზე ტარდება შეკრება დევიზით — „გაზაფხული გვიხმობს".

ქალბატონ ალექსანდრას მიუხარია ოჯახშიც, იქ მას ელოდება მოფუსფუსე დედა, პატარა შვილიშვილები და მეცნიერთა კერა: მეუღლე — მერაბი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი 50-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. უფროსი ვაჟი — ლავროსი ასევე ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია, მასაც 15-მდე სამეცნიერო შრომა აქვს გამოცემული. უმცროსი ვაჟი — მალხაზი ასპირანტია, დედის კვალს გაჰყვა, გენეტიკის დარგი აირჩია. არც რძლებს აკლებს ალექსანდრა დედურ მზრუნველობას.

ჩვენს ურთულეს ეპოქაში ალბათ ძნელად თუ ვინმეს შესწევს უნარი ასე შეახამოს ერთმანეთთან ქალურობა, მეცნიერის თავგანწირული შრომა, პედაგოგობა, ოჯახის დიასახლისობა და დიდი მოქალაქეობრივი პათოსი, ისე, როგორც ეს ქალბატონ ალექსანდრას შეუძლია.

ტ. ფარფალია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეიძინეთ ლამაზი კაბები!

დასამალავი არ არის, რომ დღევანდელ მომხმარებელს ჯერჯერობით ისევ იმპორტული ნაწარმისაკენ გაურბის თვალი. ეს მოდის აყოლაა. მრავალგზის შევსწრებივართ: მყიდველს მოსწონებია რაიმე ნაწარმი, მერე იარლიყზე დაუხედავს და გველნაკბენივით წამსვე ხელიდან გაუგდია, იმპორტული მეგონაო, უთქვამს. ხომ გაგიგონიათ, — შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. მკითხველი დამერწმუნება, რომ ჩვენ ნამეტან ჭირვეულობას ვიჩენთ ამ მხრივ, მაშინ, როდესაც თბილისური ნაწარმი ფართო ასორტიმენტით იგზავნება და კარგად იყიდება რიგაში, კიევში, ლენინგრადში, მოსკოვში, ვილნიუსში... თავს იმითღა ვიმართლებთ, ქართველები ოდითგანვე დახვეწილი, უტყუარი გემოვნებითა და მოხდენილი ჩაცმა-დახურვით გამოირჩეოდნენო. ის კი არა და, იყო დრო, როცა, ქართველ ქალებსაც და კაცებსაც, ხმის ამოღებამდე, სამოსით შეიცნობდნენ. ოდითგანვე აოცებდათ უცხოელ მისიონერებს ხევსურული ორნამენტით დამშვენებული კოსტუმი მანდილ-პაჭიჭამდე. ახლა რაჭას აღარ იკითხავთ: — შინ დამზადებული კაბა თუ საგულე, ჩიხტაკოპი თუ ჩოხა-ახალუხი, ხელიდან ხელში გადადიოდა. ალბათ, უხსოვარი დროიდან შემორჩა მეხსიერებას ხალხური ლექსი: — „დიდგორი და ბასიანი ჩოხა-ნაბდით სამსე არი...“

კახურ, სვანურ და თუშურ ორნამენტს ხომ აუარებელი მომწონებელი ჰყავს!..

გავიდა ხანი. იძალა ევროპულმა. იძალა და ეროვნული შეავიწროვა. დაიწყო ჩაცმა-დახურვის სტანდარტის ეპოქა. ქვეყნის დასალიერიდან მისიონერთა ნაცვლად მოდებს ჟურნალები გვაცნობს. ეროვნული სამოსელი მუზეუმს შეეკედლა. ქართული, კოჭებამდე დაშვებული კაბა მუხლისთავს გაუტოლდა, გალიფე შარვალი ჯინსმა განდევნა, ბლუზა-პერანგი წარწერებით აჭრელებულმა მაისურმა შეცვალა, ფარჩა და ატლასი—კოტონმა, დაკრონმა, ლავსანმა „გაახუნა“. ამ გაგანია სტანდარტების ხანაში ვის არ მოხვედრია თვალში რუსთაველის გამზირზე მოსეირნე ჭარმაგი კაცი ეროვნული ჩოხა-ახალუხითა და ფეხზე შემოტმასნილი აზიურებით. აქაოდა, აგრე არა სჯობს, რად გეხამუშებათო?! მაგრამ ამოად....

გასაგებია, რომ წლეულს კუს ნაბიჯით მობრძანებულ გაზაფხულს რაღაც სიახლით გვინდა მოვაწონოთ თავი. ამიტომ თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს მივმართეთ და ვთხოვეთ ეამბნა, რა გზით მიემართება ფაბრიკის კოლექტივი დასახული მიზნისაკენ.

ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს რეზერვს შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის შემოღება იძლევა. ამჟამად ერთიანი განაწესით მუშათა 80 პროცენტი საქმიანობს. სისტემაში კი ეს, უნდა ითქვას, საუკეთესო ციფრია. თბური დანამვის ოპერაციებზე უკვე მონტაჟდება სხვადასხვა კლასის წნეხები და რუმინული უთოს მოწყობილობები. სამამულო საკერავ მანქანებთან ერთად ვიყენებთ იტალიიდან და გერმანიიდან შემოტანილ მანქანა-დანადგარებს. ყოველივე ეს კი, რასაკვირველია, შეცვლის ნაწარმის ესთეტიკას და გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, გააუმჯობესებს მუშის შრომის პირობებს. სწორედ ამიტომ დაიწყეს ახლებურად შრომა მოწინავე ბრიგადებმა, რომელთაც სათავეში



ვ. ჩობან-ზადეს ფერადი სლაიდები



უდგანან ლ. ქართოზია, ლ. თუაშვილი, ქ. წიკლაური, ნ. აბრამიძე, მ. ქებაძე, ე. ხამიცაშვილი, თ. თვაური და სხვები. სწორედ მათ მოუწოდეს თავიანთ კოლეგებს გაორკეცებული ენერგიით იშრომონ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ, რადგან ფაბრიკამ 78 პროცენტამდე უნდა გაზარდოს სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წილი, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 12 პროცენტით მეტია.

მკერავებმა უკვე დაიწყეს ახალი ნაწარმის გამოშვება; მალე მომხმარებლები მიიღებენ ახალ მოდურ კაბებს და კოსტიუმებს, რომლებიც ძირითადად იმპორტული ქსოვილებისაგან — ატლასის, ლაქის, ხავერდის, ვილვეტის, აბრეშუმისა და კოტონისაგან დამზადდება.

ბევრი რამ არის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში ისეთი, თვალს რომ მოეწონება და გულს გაახარებს. თუნდაც სიხალვათე, ზეიმურობა, ამასთან, მასშტაბი და გრანდიოზულობა. ფაბრიკის მუშები უკვე ისე კერავენ ტანსაცმელს, რომ ხელით იშვიათადღა ეხებიან. ამაში მათ სამარჯვი ეხმარება, რომლითაც აღჭურვეს ნოვატორებმა მანქანები: კონვეიერი მოძრავია და მასზე დამონტაჟებული თათი მარჯვედ იჭერს დასამზადებელ ნაწარმს, რომელიც მზამზარეული მოდის საგამომჭრელო საამქროდან. მანქანის მომსახურე მანდილოსნებს, რომლებიც უკვე ოპერატორებად ქცეულან, ისღა დარჩენიათ, რომ სწორად განალაგონ საწყისი მასალები, სწორად გაატარონ გვირისტი, კორდონი თუ ავერლოკი. დანარჩენი ტექნიკის საქმეა. აი, სწორედ, ასეთი წესით შეკერილი საზაფხულო კაბები, ქვედატანები, ბლუზები და ბავშვის კოსტიუმები მიიღეს ამ დღეებში საფირმო მაღაზიებმა „ნათიამ“, „სიახლემ“, მოძმე ქალაქებმა.

— სიახლის დანერგვით, — თქვა საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსმა ინჟინერმა ნ. დავიდოვამ, — დაიწყო სამკერვალო ნაკადების კომპლექსური მექანიზაცია. ამიერიდან ტრადიციული ხელის ოპერაციების 80 პროცენტს ტექნიკა შეასრულებს. ამის მეოხებით კი მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად გაიზრდება ქალის, ბავშვის და კაცის ტანსაცმლის წარმოება. ამჟამად „ს“ (სიახლე) — ინდექსიანი საქონლის წარმოება 20 პროცენტს შეადგენს. ეს ჩვენი გიგანტური საამქროს ღვაწლია, სადაც სადღეისოდ 68 ბრიგადა მუშაობს.

— შედეგები ურიგო არ გქონიათ. მაგრამ ჯერ ხომ კიდევ არსებობს დეფიციტის პრობლემა?

— სწორი ბრძანებაა,—მიპასუხა ინჟინერმა ლ. ბაჩიაშვილმა,—მაღაზიებში ჩვენი გამოშვებული ნაწარმი ახლა შედარებით არის, მაგრამ დეფიციტის პრობლემა ჯერაც სათანადოდ არ გადაწყვეტილა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მყიდველის მოთხოვნა იზრდება. რაც ერთიორად უსწრებს მიწოდებას და რასაც ხანდახან მხარს ვერ ვუბამთ. თუმცა, ამასაც აქვს თავისი მიზეზები. კერძოდ, საფუძვლიანად ვერ ვსწავლობთ მომხმარებლის მოთხოვნას, რის გამოც საქონელი „ჩაწვება“ ხოლმე და იძულებული ვართ ფასი ჩამოვაკლოთ. ეს კი საწარმოს სახელს უტეხავს. სწორედ ამიტომ გააქტიურდა ფაბრიკასთან შექმნილი მომხმარებლის მოთხოვნათა შემსწავლელი კომისია, რომლის წინადადებებსაც ეყრდნობა ჩვენი გეგმა; მუშავდება ღონისძიებათა პროექტი. წინა წლებთან შედარებით მოგვარდა პროგნოზის სამსახურიც. ყოველივე ეს ძიების შედეგია თანადგომაა, რაც ასე საჩინოდ იგრძნობა ფაბრიკის პარტორგანიზაციისა (მდივანი გ. ღლონტი) და კომკავშირული ორგანიზაციის (მდივანი მ. ტორონჯაძე) მუშაობაში.

* * *

სამკერვალო ფაბრიკის ინტერიერს მოწინავე ქალთა პორტრეტები ამშვენებს. მათ შორის არის სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული და საზღვარგარეთის საგზურით დაჯილდოებული მოწინავე ბრიგადირი ნ. ცინცაძე.

— გაზაფხულმა საზრუნავი გაგვიათასა,— მეუბნება ნ. ცინცაძე, — ერთთავად სულ იმას ვცდილობთ, რომ თავი მოვაწონოთ სეზონს. დიადი გამარჯვების მე-40 წლისთავს. მან მანეკენებზე მორგებული მოდური კოსტიუმები წარმომიდგინა, რომლებიც უკვე გაიგზავნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. მათ შორის არის ატლასის ქსოვილის გამოსასვლელი კაბა, რომელიც წელს ზემოთ ცალმხრივ ანაოჭებულია; განიერი სახელოები ქვემოთ უვიწროვდება, ქვედა წელი სწორია. აქვეა მეორე „ფრიადოსანი“ ხავერდის კაბა, რომლის მხრის ადგილები ვიწრო ნაკეცებით არის გამოკერილი, ქვედა წელი კი შემხვედრი ნაკეცებით დამშვენებული.

სურვილი დამებადა, რაც ვნახე და განვიცადე, ყველას ვაუწყო, თანაც ვურჩიო, შეიძინონ მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მოდური კაბები, რომლებიც შეკერილია ქართული, ეროვნული ელემენტების შეხამებითა და გამოყენებით.

**თინათინ რეხვიაშვილი**



# როგორ მოვიცილოთ ჭორფლი



ჭორფლი — პაწია ღიაყავისფერი ლაქები ჩნდება გაზაფხულზე, — უმეტესად ცხვირზე, ლოყებზე, საფეთქლებზე, ბეჭებსა და ხელის მტევნებზე; შემოდგომაზე და ზამთარში იგი უფერულდება.

პირველად ჭორფლი ხუთ-ექვს წლისანებს გამოაჩნდებათ ხოლმე, შემდეგ თანდათან კლებულობს, ხოლო 35-40 წლის ასაკში სულ უქრებათ.

გამათეთრებელი პრეპარატების მეტი წილი დაფუძნებულია კანის ზედაფენის აქერცვლის მეთოდზე, მაგრამ პიგმენტი, რომელიც ჭორფლს აჩენს კანის უფრო ღრმა ფენაშია მოთავსებული. ამიტომაც გამათეთრებელი პრეპარატების ხმარება, მხოლოდ დროებით ეფექტს იძლევა. მზის სხივების მოქმედების შედეგად პიგმენტის უჯრედები უხვად წარმოქმნიან პიგმენტს. აი, რატომ არის აუცილებელი სახე მზისგან დავიცვათ ფარფლიანი ქუდით, ან მსუბუქი ქოლგით.

როგორც კი გაზაფხულის მზე გამოაჭყეტს, ქუჩაში გასვლის წინ სახეზე დამცველი კრემის ფენა უნდა გადაისვათ („ლუჩ“, „კურორტ“) ამ კრემის მოქმედება სამ საათს გრძელდება. საღამოთი კანის გამოსათეთრებლად იხმარეთ კრემები: „მოლოჩაი“, „ახრომინი“ ან „მელანი“. კრემი წაისვით დაბანილ სახეზე, თხელ თანაბარ ფენად; ერთი საათის შემდეგ შეიმშრეთ ქაღალდის ხელსაწმენდით.

ცხიმიანი და ნორმალური კანისათვის შეიძლება გამოიყენოთ კიტრის წვენი, ლიმონი, მაწონი და ოხრახუშის ნახარში:

სახე კარგად გაიწმინდეთ მაწვნით, 15-20 წუთს მაწონი ზედ შეირჩინეთ და მერე თბილი წყლით დაიბანეთ.

ლიმონის ან კიტრის ნაჭრით სახე დღეში რამდენჯერმე გაიწმინდეთ და 5-10 წუთის შემდეგ დაიბანეთ.

ნახევარ ლიტრ წყალში მოხარშეთ ერთი კონა ოხრახუში და სახის დასაბანად ეს ნახარში გამოიყენეთ.

ისე მეტისმეტად, ნურც კი ეცდებით ჭორფლის მოცილებას. ზოგიერთ სახეს იგი ძალიანაც უხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარია ჩუბაშეკი



# იქნებ ეს უკეთესია!



პირველი ქალი, რომელსაც ფილიპსი დაჰპირდა, რომ ცოლს შეირთავდა, მისი დედა გახლდათ. ის ხომ ჟამდაკრული უცოლო კაცი იყო. რასაკვირველია, მან დედას პირობა არ შეუსრულა და ამაში არავინ ადანაშაულებდა. — პირიქით, ყველანი, და ბოლოსდაბოლოს მისი დედაც აღიარებდნენ, რომ ეს უკეთესიც არის.

სამწუხაროდ, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ფილიპსმა ერთ ქალზე დაქორწინება დააპირა და დაპირებაც არ შეასრულა, ყველანი, და თვით ის ქალიც ფიქრობდნენ, რომ მას ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა. ფილიპსი დატუქსული ძაღლივით გრძნობდა თავს და არც კი იცოდა, რისთვის?

თუ საკუთარ დედას პირობა არ შეუსრულა, რატომ უნდა შეესრულებინა პირობა სხვისთვის, მით უმეტეს, სრულიად უცხოსთვის?

თავს დამნაშავედ არ გრძნობდა და ამ უსიამოვნო სიტუაციიდან არავითარი დასკვნა არ გამოუტანია.

ორიოდე თვის შემდეგ ეს ამბავი განმეორდა. ქალიშვილმა, ფილიპსის უპირობის გამო, თვითმკვლელობა სცადა. ამან ფილიპსი შეაშინა, მაგრამ გოგონას საწამლავი აბების მაგიერ თურმე შეცდომით 20 აბი ვიტამინ B" კომპლექსი გადაუყლაპავს. იმის მაგიერ, რომ ფილიპსს პატიება ეთხოვა, მან გოგონას ჩხუბი აუტეხა, უშვერი სიტყვებით მოიხსენია, ვინაიდან საწამლავის ქილებით ვიტამინებს ინახავდა. ფილიპსს ეჭვიც შეეპარა, რომ შეგნებულად გამამასხარავაო. მერე გოგონას დასაწყნარებელი აბები მოუტანა, მაგრამ გადაიფიქრა და გადაყარა.

ამ უსიამოვნო ინციდენტის თაობაზე დიდხანს ფიქრობდა და ბოლოს გადაწყვიტა, თუ ოდესმე რომელიმე ქალს ქორწინებას შევპირდები, კიდეც შევასრულებო. რამდენიმე ხნის შემდეგ იოანა შეუყვარდა, მაგრამ სამი თვის განმავლობაში სიტყვა „ქორწინება" არც კი უხსენებია. სიმართლე რომ ითქვას, პირველად კეთილსინდისიერადაც ექცეოდა, მაგრამ ბოლოს მაინც უჩხუბრად ვერ გაშორდა.

ამჯერად, ფილიპსმა მართლა არ იცოდა. რა დაემართა ქალს, რომელსაც არაფერს შეპირებია...

იოანა წერდა, ვწყვეტ შენთან კავშირს, რადგან ქორწინებას არ გპირდებოდიო. ფილიპსმა სიბრაზისაგან წერილი ნაკუწებად აქცია და დასალევად წავიდა.

სამი დღის შემდეგ, გონს მოსულმა, თავის თავს საზეიმო ფიცი მისცა, რომ არცერთ ქალს აღარ შეიყვარებდა, მაგრამ რას წარმოიდგენდა, რომ მეორე დღეს დოროთას გაიცნობდა!

ერთი კვირის შემდეგ ფილიპსი შეჰპირდა, ვიქორწინებთო. თავიც დაირწმუნა და იქორწინეს. რაღაც ერთი თვის შემდეგ მან კატერინა გაიცნო, რომელმაც გულწრფელად უთხრა, მხოლოდ ქმარს შევიყვარებო.

— თუ ასეა, დავქორწინდეთ! — ვაჟკაცურად გადაწყვიტა ფილიპსმა.

— არ სტყუი? — ჰკითხა გოგონამ დაეჭვებით და კალენდარი ამოიღო.

ქორწინების დღე მომავალ კვირას დათქვეს. ოჰ, რა ქორწილი იქნება!

ფილიპსი ქვეყანაზე უბედნიერეს კაცად თვლიდა თავს. მას ცოლიც არაჩვეულებრივი ჰყავდა და პირობაც შეასრულა, კეთილსინდისიერად მოიქცა. და როგორ გაოცდა, როცა სასამართლოში დაიბარეს. ისიც იმიტომ, რომ დაპირება არ შეასრულა.

— რატომ დაქორწინდით კატერინაზე?

— იმიტომ, რომ დავპირდი და, რაც მთავარია, მიყვარს.

— რა შეგიძლიათ თქვათ დოროთაზე?

— იგივე.

— როგორ?

— ასე! იმისთვის დავქორწინდი, რომ დავპირდი და პირობა შევასრულე. შეგიძლიათ შეამოწმოთ! ყველაფერი რიგზეა!

სასამართლო სხვა აზრისა იყო. ორცოლიანობისათვის ფილიპსი დააპატიმრეს. მას ვერ გაეგო, რატომ სჯიდნენ, ორჯერვე კეთილსინდისიერად მოიქცა, დაპირება დოროთესაც შეუსრულა და, კატერინასაც.

ერთიდაიგივე დანაშაულისთვის ორჯერ არავის სჯიან, კარგი საქციელისათვის კი ორმაგად უნდა დაისაჯოს? გაუგებარია! თუმცა ჯერ საქმე არ დამთავრებულა, მაგრამ არ ღირს ნერვულობა, რადგან ყველაფერი ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გპირდებიან.

და იქნებ ეს უკეთესიც არის?

პოლონურიდან თარგმნა
ინგა კაკაბაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## დიასახლისებისათვის

### რჩევები დიასახლისებს

1. ბრინჯი უფრო თეთრი იქნება, თუ მოხარშვისას წყალში ჩაუმატებთ ცოტა ლიმონის წვენს.

2. გაუპრიალებელი ქარვა შეგიძლიათ გაწმინდოთ პატარა ჯაგრისით, რომელიც დასველებულია დენატურირებულ სპირტში, შემდეგ კი გადაუსვათ სხვა ჯაგრისი, რომელიც ზეთშია დასველებული.

3. თეთრი ტილოს ნაჭერს ჟანგის ლაქები რომ მოაცილოთ, საჭიროა იგი ჩაალბოთ მჟავე რძეში (მაწონში), შემდეგ კი — გამოხარშოთ.

4. თუ ფრჩხილებზე ლაქი შესქელდა და ველარ ხმარობთ, საჭიროა ლაქიანი ბოთლი რამდენიმე ხნით ჩადგათ ცხელწყლიან ჭურჭელში. ამის შემდეგ ლაქი გათხელდება.

5. ტანსაცმლის ჯაგრისები გაახლდება, თუ მათ გავრეცხავთ ნიშადურის სპირტიან წყალში (4 ჩაის კოვზი ნიშადურის სპირტი 1 ლიტრ წყალზე), შემდეგ კი გავრეცხავთ სუფთა წყლით და გავაშრობთ.

6. „ზამშის" (ნატის) ნივთები კარგად იწმინდება ღრუბლით, რომელიც თბილ რძეშია დასველებული.

7. თუ გსურთ, რომ მიხაკებმა დიდხანს გაძლოს, წყალში ჩადების წინ ღეროების ბოლოები დაასველეთ ბორის მჟავაში და წყალშიც ჩაუმატეთ ამ მჟავის რამდენიმე წვეთი (ბორის მჟავის ხსნარი მზადდება ასე: 1 ჩაის კოვზი ბორის მჟავის ფხვნილი 1 ჭიქა წყალზე).

ჟურნალ „გოსპოდინიდან" თარგმნა
ე. ხარატიშვილმა

### კარტოფილის „კაპრიზები"

კარგად გარეცხილი კარტოფილი გაფცქვნისთანავე შეწვით ან მოხარშეთ, თორემ გაშავდება და ნაკლებად მარგებელი იქნება.

სპეციალისტების აზრით გაფცქვნილი კარტოფილის წყალში შენახვა სწორი არ არის, რადგანაც წყალში გადადის ბევრი საჭირო ნივთიერება. თუ წინასწარ გაფცქვნა ამა თუ იმ მიზეზის გამო აუცილებელია, მაშინ იგი ჩააწყვეთ პოლიეთილენის პარკში და თავი მაგრად მოუკარით.

პიურესათვის მოხარშული კარტოფილი ცხელ-ცხელი უნდა გახეხოთ. პიურეს მოსამზადებლად მხოლოდ ცხელი რძით ისარგებლეთ, ცივი რძით პიურე რუხ ელფერს მიიღებს.

კარტოფილი შეწვით წინასწარ გახურებულ ტაფაზე, ჯერ ძლიერ ცეცხლზე, შემდეგ კი — ნელზე.

დანოტიებული კარტოფილი ერთი ღამე მშრალსა და თბილ ადგილზე შეინახეთ, რათა კარგად გამოშრეს, კარტოფილი უფრო გაგემრიელდება.

ხარშვისას კარტოფილს წყალი ისე დაასხით, რომ ზედა კარტოფილები წყლით არ იყოს დაფარული. უკეთესია თუ სპეციალურ ორთქლის ქვაბში მოხარშავთ.

გაყინული კარტოფილი გაფცქვენით, ჩაყარეთ თუჯის ქვაბში, მარილი მოაყარეთ და შედგით ღუმელში, წყალს ნუ დაასხამთ. ქოთანს ხუფი მჭიდროდ დაახურეთ, უმჯობესია ხუფი ქაღალდით მიაწებოთ. ორმოცი წუთის შემდეგ ქოთანი გადმოიღეთ და ხუფი მოხადეთ, რომ ორთქლი ამოვიდეს.

### როგორ მოვხარშოთ ჭარხალი

ცნობილია, რომ ჭარხალს მოსახარშად დიდი დრო სჭირდება. ხარშვის დრო შეიძლება შემდეგნაირად შევამციროთ: ერთი საათის ხარშვის შემდეგ ამოიღეთ ქვაბიდან და დაიჭირეთ ცივი წყლის ნაკადის ქვეშ. თუ ჭარხალი მსხვილია შეიძლება 15-20 წუთით კვლავ ხარშოთ, შემდეგ კი ისევ გააციოთ.

სხვა ბოსტნეულისაგან განსხვავებით, ჭარხალს მარილიან წყალში არ ხარშავენ, რადგან უგემურდება და სასარგებლო აღარ არის.

ხარშვისას ჭარხალი რომ არ გაუფერულდეს ფესვებს — ძირს ნუ მოაჭრით.

გასუფთავებულ ჭარხალს თავლია ჭურჭელში ნუ შეინახავთ, ჟანგბადთან შეხებისას მასში იშლება ვიტამინი „C".

წყალს, რომელშიც ჭარხალი იხარშება, დაუმატეთ ძმარი ან ლიმონმჟავა, იგი ჭარხალს თავდაპირველ ფერს შეუნარჩუნებს.

სალათებისა და ვინეგრეტებისათვის უმჯობესია გამოიყენოთ შემწვარი ჭარხალი.

თენგიზ კახელიშვილი

მთავარი რედაქტორი
მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор
МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. ბაფრინდაშვილი, ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 8. 04. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 05. 85 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.3.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 148.000 შეკვ. 846 უე 05471



თბილისი. საშვიდობო მიტინგი ძმათა სასაფლაოზე

დ. იაკობაშვილის ფოტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფასი 80 კაპ

ინდექსი 78178